# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 17 ივნისი. 2022 წ. №75 (9413) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი




## ბოროტება უნდა ვამხილოთ!..




ინესა მერაბიშვილი:

# დროა, „კმარას“ ვუთხრათ – კმარა! ③



თუ ასე გაგრძელდა, აშშ მალე დაკარგავს სადად მოაზროვნე საქართველოს უდიდესი ნაწილის ნდობას და მხარდაჭერას. ქალბატონო ელჩო, თქვენი უსამართლობა და არაობიექტურობა ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია!



ომარ მარგველაშვილი:

# ნუთუ არ გრცხვენიათ?! ⑤

## სალომე ზურაბიშვილმა აზერბაიჯანში შეხვედრები გამართა

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ბაქოში იმყოფებოდა. როგორც აზერბაიჯანული მედია წერს, სალომე ზურაბიშვილი აზერბაიჯანელ კოლეგას ილჰამ ალიევს შეხვდა.**

საქართველოს პრეზიდენტი მონაწილეობდა ბაქოს მე-9 გლობალურ ფორუმში, რომლის თემაა „საფრთხეები გლობალური მსოფლიო წესრიგისთვის“. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანიდან გუშინ საღამოსვე დაბრუნდა და ევროპის მოედანზე გამართულ აქციაში მიიღო მონაწილეობა.



## ჩვენ არ დავიწყებთ ომს!

**საქართველოს პრეზიდენტი ბაქოს მე-9 გლობალურ ფორუმში მონაწილეობს.** ფორუმის თემა **„საფრთხეები და გლობალური მსოფლიო წესრიგია“.** ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას გაუსვა ხაზი.

**„ჩვენ პირადად გვაქვს ნანახი საბჭოთა იმპერიის პოლიტიკის შედეგები. ჩვენ ძალიან რთული ფაქტის წინაშე ვდგავართ. კერძოდ, გვყავს ძალიან ძლიერი მეზობელი, რომელსაც არ ესმის მეზობლობა, არც მეზობლური ურთიერთობები და რომელიც არ არის მზად დიალოგისთვის და დღემდე ფიქრობს, როგორც ამას უკრაინის ომი მოწმობს, რომ შეუძლია ძალის გამოყენება კონფლიქტების გადასაჭრელად ან საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია. ჩვენ მუდმივად ვხედავთ საზღვრის გადაწევის ფაქტებს, ტყვეების აყვანას. ვხედავთ სხვაგვარ საფრთხეებს, როგორებიცაა, მაგალითად, საუბარი რეფერენდუმზე, რომელმაც შესაძლოა ამ ტერიტორიების ანექსია გამოიწვიოს.**

**ამას ვპასუხობთ იმ განცხადებით, რომ ჩვენ არ დავიწყებთ ომს ამ ტერიტორიების უკან დასაბრუნებლად, რადგან ჩვენ გვსურს ოკუპირებული ტერიტორიების ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის გაერთიანება. ეს ძლიერი განაცხადია, რომელიც გავაკეთეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ფიქრობდნენ და შიშობდნენ, რომ ჩვენ რუსეთი გამოგვიწვევდა და საქართველო ამ გარემოებებს ტერიტორიების დასაბრუნებლად გამოიყენებდა. ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, რადგან გვსურს გაერთიანება მოსახლეობასთან და არ გვსურს ომი. ეს არის გზავნილი რუსეთისთვისაც. ჩვენი მოვალეობაა, სამხრეთ კავკასიას დავუბრუნოთ თავისი ისტორიული და სამომავლო როლი, რაც გულისხმობს უსაფრთხო, სტაბილურ ადგილს, ასევე ხიდს ევროპასთან, რომლისკენაც ჩვენ ვისწრაფვით და დღეს ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ველით ევროკომისიისგან“.**

იური სვანიძე:



## მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო პოლიტიკას ერთი უწყება უნდა ⑥ წარმართავდეს!

ლევან დავითაშვილი:



## რაიმე ტიპის პროდუქტის დეფიციტის შიში არ უნდა გვქონდეს, გამორიცხულია!!! ⑪

## რუსეთის ლუგარის ④ ლაბორატორია „აღელვებს“,

## მაგრამ კითხვას არ დასმულა – რა ხდება ეშერის ლაბორატორიაში?



# სალომე ზურაბიშვილსაც აწვალებენ...

**აშკარაა, რომ სალომე ზურაბიშვილმა უკვე მიიღო მყარი გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ მხარეს დგას ორპოლუსიან ქართულ პოლიტიკაში.**

ამ შემთხვევაშიც, ყველაფერი გარედან იმართება:

**შვილი თეიმურაზი, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, კვალიფიკაციითა და უნარებით არაფრით გამორჩეული და სრულიად გამოუცდელი კადრია, ჯერ საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩევლად, ხოლო შემდეგ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ მრჩევლად დაუნიშნეს ამერიკისა და აზიის საკითხებში**

**ქეთევანი, რომელიც ფრანს 24-ის ერთი უბრალო სპორტული რედაქტორი იყო, უსწრაფესად დაუწინაურეს და თეთრ სახლსა და ვაშინგტონში კორესპონდენტად დაუნიშნეს — შედეგიც სახეზეა: ახლა სწორედ ევროპა და ამერიკა ამუშავებს სალომე ზურაბიშვილს, ნაციონალური მოძრაობის მხარდამხარ, საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ.**

**სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გახადა ჯერ დეპუტატი და შემდეგ პრეზიდენტი, 30 ვერცხლად გაიყიდა და ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ დაუპირისპირდა.**

**მართალია, ირაკლი კობახიძემ მცირე პოლიტიკური მანევრი გააკეთა და სალომეს „პირი მოწმინდა“, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ სალომემ სააკაშვილი, გვარამია და ბიძინა ივანიშვილი ერთ სიბრტყეზე სრულიად შეგნებულად დააყენა. სალომემ იცის, რომ მისი უფროსების მთავარი სამიზნე სწორედ ივანიშვილია და ყველაზე მეტად ივანიშვილთან დაპირისპირებას დაუფასებენ.**

**სალომეს სახით, „ქართულ ოცნებას“ ახალი ოპონენტი და ოპონირების ახალი ხაზი გაუჩინეს. სალომეს დიდი რესურსი არა აქვს, მაგრამ კომპრომეტირებული და გაჭირვებაში მყოფი ოპოზიციისთვის მისი შეხიდებაც გარკვეული შეღავათია. 16 ივნისის აქციაც იმას ემსახურება, რომ ხალხის რაღაც ნაწილი სალომეს გარშემო დაამობილიზონ და ერთ-ერთ ოპოზიციურ ლიდერად წარმოაჩინონ. სქემა შეიძლება ასეთი იყოს — ოპოზიციის ერთი მხარე იქნება ნაციონალური მოძრაობა და მეორე მხარე — სალომე ზურაბიშვილი და სხვა ოპოზიციური პარტიები.**

**მთელი ეს სქემა ბოლოს ისევ ცნობილ სცენარამდე მიდის — ივნისის ბოლოს არეულობა, ხელისუფლების გადატრიალება და მეორე ფრონტი. სინამდვილეში, სალომეს არაფრის თავი არა აქვს, პრეზიდენტიც მთლიანად ივანიშვილისა და „ოცნების“ ნდობის ხარჯზე და ოპოზიციის მხრიდან გინების ფონზე გახდა და ეს სქემაც წარუმატებლობისთვისაა განწირული.**

**შესაბამისად, სალომესაც აწვალებენ ცოტა ხანი, როგორც თავის დროზე მარგველაშვილი და გახარია აწვალეს და ამით დასრულდება მთელი ეს ისტორია.**

**დავით ქართველიშვილი**

# ირაკლი შოთაძე აშშ-ში სამუშაო ვიზიტით იმყოფება

**საქართველოს გენერალური პროკურატურის დელეგაცია გენერალური პროკურორის ირაკლი შოთაძის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.**



პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში ირაკლი შოთაძემ სამუშაო შეხვედრები გამართა კალიფორნიის ცენტრალური ოლქის მთავარ პროკურორთან ტრეისი უილკსონთან, ოლქის აღმასრულებელ პროკურორთან ჯასტინ როუდთან და სასამართლოში მაგისტრატ მოსამართლესთან მაიკლ რ. უილნერთან. შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე ნათია მერებაშვილი, საქართველოს პროკურატურის და კალიფორნიის ცენტრალური ოლქის პროკურატურის წარმომადგენლები.

ასევე დაგეგმილია შეხვედრები სახელმწიფო იურიდიული დახმარების ფედერალურ სამსახურში, გამოძიების ფედერალურ სააგენტოში, ფედერალურ პროკურატურაში და პრობაციის სამსახურში.

# თავდაცვის მინისტრი ნატოს გენმდივანს შეხვდა

**საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი, ჯუანშერ ბურჭულაძე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივანს, იენს სტოლტენბერგს შეხვდა.**

ოფიციალურ ვახშამზე შვედეთის, ფინეთის, უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლები იყვნენ მიწვეულები. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე ბრიუსელში ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრას ესწრება და, მინისტერიალის ფარგლებში, უცხოელ კოლეგებთან შეხვედრებს მართავს.

# არახამია სანქცირებული დემაგოგია



**დავით არახამიას განცხადებით, რუსეთის მოქალაქეები და კომპანიები გვერდს უვლიან დასავლურ სანქციებს და ამისთვის ქართულ ორგანიზაციებს იყენებენ,** — ამის შესახებ მან ვაშინგტონში, „მარშალის ფონდის“ ღონისძიებაზე ისაუბრა. მისი მტკიცებით, რუსები „ქართულ ბანკებს, ფინანსურ სისტემასა და ქართულ კომპანიებს, დასავლეთის სანქციების რეჟიმის თავიდან ასაცილებლად იყენებენ.

**„თუ ხარ სანქცირებული რუსი, შედიხარ ინტერნეტში, ხსნი ქართულ კომპანიას, დისტანციურად ხსნი საბანკო ანგარიშს და იწყებ დამუშავებას“,** — ამბობს არახამია. მან ვაშინგტონს ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

* * *

საქართველოს ეროვნული ბანკი კატეგორიულად გამორიცხავს, რომ სანქცირებულმა პირმა საქართველოს საბანკო სექტორის გამოყენებით ნებისმიერი სახის ფინანსური ოპერაციის განხორციელება შეძლოს. მათივე განცხადებით, ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი უმკაცრეს რეაგირებას მოახდენს.

**„საქართველოს საფინანსო სექტორი გლობალური საფინანსო სისტემის ნაწილია და ბუნებრივია, საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად მოქმედებს.**

**არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორის რეგულირებისას ყოველთვის საერთაშორისო რეზოლუციებით განსაზღვრული მოთხოვნებით ხელმძღვანელობს. შეგახსენებთ, რომ სანქციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულების შესახებ მითითება ეროვნულმა ბანკმა საქართველოს საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს ომის დაწყების მეორე დღესვე მისცა და ამასთან, როგორც საფინანსო სექტორის მარეგულირებელი, იცავს ყველა სტანდარტსა და საერთაშორისო რეზოლუციას, რაც ქართულ საბანკო სექტორში რაიმე ტიპის სანქცირებული ოპერაციის განხორციელებას გამორიცხავს.**

**ეროვნული ბანკის სწრაფ, ადეკვატურ და ეფექტიან მოქმედებებს არაერთხელ გამოეხმაურა როგორც დიპლომატიური კორპუსი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის სწრაფი და ადეკვატური ქმედებებით ეფექტიანად წარიმართა საფინანსო სექტორის მიერ სანქციების დაცვის პროცესი“.**

**ამავე დროს, ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ინსტიტუტებთან, რის შედეგადაც ბანკებს მუდმივად მიეწოდებათ განახლებული მონაცემები სანქცირებული პირების და ორგანიზაციების შესახებ. სანქციების თავიდან არიდებაში დახმარება არც ქართული ბანკების ინტერესში არ არის, ხოლო მათ საქმიანობას კი მუდმივად ზედამხედველობს ეროვნული ბანკი. ეს მიდგომები ცნობილია და სამაგალითოდაა შეფასებული ჩვენი პარტნიორი ქვეყნების, მათ შორის, აშშ-ის, ევროკავშირის და დიდი ბრიტანეთის მიერ“,** — აღნიშნულია ეროვნული ბანკის განცხადებაში.

## ზურაბ ქადაგიძე ელენე ხოშტარიაზე:

# მთავარია, ნაგვის მანქანაზე ამხტარი აპროტესტებდე ოკუპაციას, თორემ რუსული ბიზნესი, ფინანსები და მატერიალური კეთილდღეობა მოსულა

**მთავარია ანტისაოკუპაციო წინდები გეცვას, საზღვარზე შარვლის ჩახდა შეგეძლოს და ნაგვის მანქანაზე ამხტარი აპროტესტებდე ოკუპაციას,თორემ რუსული ბიზნესი,ფინანსები და მატერიალური კეთილდღეობა მოსულა...** — ასე ეხმიანება ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე „დროას“ ლიდერის ელენე ხოშტარიას ოჯახის წევრის ანგარიშზე რუსეთიდან მილიონობით რუბლის გადარიცხვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას.

**ყველანაირი პროტესტი, აქცია და სოლიდარობა „გააბანძეთ“ იმით კი არა,რომ რაციონალიზმს დაშორდით, არამედ აი ასეთი „ფსევდოპატრიოტიზმით“ არსებობდით და აგრძელებთ ცხოვრებას... „პოლიტიკური ცეხავიკები“,** — წერს ზურაბ ქადაგიძე ფეისბუქზე.

* * *

ექსპერტი დავით ქართველიშვილი მოძრაობა „დროას“ დამფუძნებლის, ელენე ხოშტარიას ირგვლივ გავრცელებულ სკანდალს ეხმიანება, რითაც ცნობილი გახდა, რომ ხოშტარიას ოჯახის წევრის ანგარიშზე რუსეთიდან, პერიოდულად, სოლიდური თანხები ირიცხება. საუბარია მილიონობით რუსულ რუბლზე.

მისი თქმით, როდესაც დავით არახამია საუბრობდა, რომ რუსული კომპანიები ქართულ სუბიექტებს იყენებენ სანქციების ასარიდებლად, ამაში თუ ელენე ხოშტარიას ოჯახისთვის მილიონობით რუბლის გადარიცხვას გულისხმობდა, მაშინ იყენებს და რას ვერჩით.

**„რაო Dj David Braun-მა — რუსული საბანკო სისტემაო ინტენსიურად იყენებსო ქართულ საბანკო სისტემასო? თუ ლЯკა ხოშტარიას ოჯახისთვის მილიონობით რუბლის გადარიცხვას გულისხმობდა, რომლითაც ხოშტარიები ბათუმში თურმე უძრავ ქონებას იძენენ — გამოდის, რომ იყენებს და ეგაა, რას ვერჩით. მაგრამ საკუთარი გუნდის წევრის — ხოშტარიას ასეთი ჩაშვება, არახამიას რაში დასჭირდა?“** — წერს ქართველიშვილი ფეისბუქზე.



# რაც ეპატიება ხოშტარიას, ის არ ეპატიება სხვას...

**ოპოზიციის ლიდერებს შეხედეთ, რამდენია დღესაც რუსეთის მოქალაქე, რამდენს აქვს ბიზნესები და შემოსავალი რუსეთიდან, მაგრამ ისინი ხელისუფლების სანქცირებას ითხოვენ,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი ქადაგიშვილმა განცხადა.

ირაკლი ქადაგიშვილმა კომენტარი გააკეთა „დროას“ დამფუძნებელ ელენე ხოშტარიას განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, მამამისი არის სოლიკო ვირსალაძის მემკვიდრე, თეატრის მხატვრის, რომელიც მოღვაწეობდა მარიინსკის თეატრში და რომლის სპექტაკლები მთელ მსოფლიოში იდგმება. **„უკვე 25 წელია, ჰონორარები ერიცხება ყველა მისი დადგმული სპექტაკლიდან“.**

როგორც ქადაგიშვილმა აღნიშნა, თუ ელენე ხოშტარიას მამას შეიძლება ერიცხებოდეს რუსეთიდან თანხა და ეს ნორმალურია, რატომ არ შეიძლება ერიცხებოდეს სხვას და რატომ უნდა მოჰყვეს სხვა ბულინგის ქვეშ.

**„ეს არის სწორედ ორმაგი სტანდარტები. თუ მას შეიძლება, არ ვიცი კანონიერად არ ვიცი როგორ, ერიცხებოდეს რუსეთიდან ფული, ეს ნორმალურია, მაგრამ ვიღაც თუ წავა რუსეთში რაღაცის გასაკეთებლად ან შეიძლება ვიღაცას ერიცხებოდეს ფული რაღაცისგან, თუ მის პოლიტიკურ ნავში არ ზის, სანქცირებისა და ბულინგის ქვეშ უნდა მოჰყვეს? სწორედ ეს არის ორმაგი სტანდარტი. ეს არის ის დაბალი მორალური პოლიტიკური დონე, რითაც ოპოზიცია ხელმძღვანელობს. ოპოზიციის ლიდერებს შეხედეთ, რამდენია დღესაც რუსეთის მოქალაქე, რამდენს აქვს ბიზნესები და შემოსავალი რუსეთიდან, მაგრამ ისინი ხელისუფლების სანქცირებას ითხოვენ“,** — განაცხადა ქადაგიშვილმა.

№75. პარასკევი, 17 ივნისი, 2022 წელი.

# დროა, „კმარას“ ვუთხრათ – კმარა!




## ინესა მერაბიშვილი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.


**როდესაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსი და მისი გუნდი რევოლუციის გზით ხელისუფლებას გადატრიალებას უპირებს, ის შეიჭრება, ან ცდილობს შეიჭრას პარლამენტში, რათა სადავეები ხელში აიღოს და თავისი შესაძლებლობებით მართოს ქვეყანა. ასეთი მაგალითები ვიცით ჩვენ უახლესი წარსულიდან.**

**როდესაც სტუდენტთა ჯგუფი ძალადობრივი გზით იპყრობს დედაუნივერსიტეტის რექტორის კაბინეტს და აგერ უკვე კვირაზე მეტია იქ ბინადრობს და სახლობს, ეს ჯგუფი უნივერსიტეტის მართვას აპირებს? თუ აპირებს, რატომ ვერ მართავს და არ მართავს ადმინისტრაციასა და პროფესურას, ან მის მრავალრიცხოვან სტუდენტობას?**

როდესაც ბოლშევიკებმა უნივერსიტეტიდან დიდი ივანე ჯავახიშვილის გაძევება მოისურვეს, მას ლექციაზე მოსყიდული სტუდენტები შეუგზავნეს. სამწუხაროდ, ჯავახიშვილები და მელიქიშვილები დღეს აღარ არიან, მაგრამ მოძალადე ახალგაზრდა არ გადაშენებულა.

საქართველომ და უნივერსიტეტმა ძალადობის ბევრი ფაქტი ნახა, მაგრამ არავის ახსოვს, რომ სტუდენტს პროფესორზე ხელი აღემართოს, ან ვანდალური გზით შეჭრილიყოს უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში, იქვე ღამე ეთიოს და იქვე ესვას და ეჭამოს. მოგეხსენებათ, ძალადობასაც თავისი ზღვარი აქვს და ეს ზღვარი სტუდენტებმა უკვე გადალახეს. რითი ავხსნათ ეს და რითი ვუშველოთ მათ? ამქვეყნად არც აუხსნელია რამ და არც უსაშველო, სიკვდილის გარდა.

ოციოდე წლის წინ საქართველოში გაჩნდა მოძრაობა „კმარა“, რომელიც, პირველ ყოვლისა, უნივერსიტეტის ზღურბლს მიადგა. აი, სწორედ აქედან დაიწყო უნივერსიტეტის დაკნინება და შემდგომ მისი, პირდაპირ ვიტყოდი, სრული ლიკვიდაცია, რადგან ერთ დღეს უნივერსიტეტის პროფესურა სრულად გაგვათავისუფლეს სამსახურიდან. ამის შემდეგ დაიწყო ავადსახსენებელი კონკურსების ბაკქანალია. როგორც მახსოვს, პირველ ხანებში ამ პროცესს ასამდე უნივერსიტეტელის სიცოცხლე შეეწირა. ვერ დავთვლით, რამდენის ჯანმრთელობა დაზიანდა და რამდენის პროფესიული ცხოვრება დაინგრა.

დღეს რექტორატში მოკალათებული სტუდენტებიდან, ალბათ, იმხანად ბევრი დაბადებულიც არ იყო, მაგრამ „კმარას“ იდეოლოგია დღეს მათში ჩანერგეს და ის ცოცხლობს, კიდევაც უფრო გააფთრებული ფორმით. საზოგადოებისთვის, რამდენადაც მე ამას ვგრძნობ, უკვე ნათელია, რომ სტუდენტთა ასეთი ჯგუფი აუცილებლად მართულია და ამ პატარა ჯგუფის აქტივობა სამომავლოდ დიდ საფრთხესაც შეიცავს. ამ ყოველივეს კი ახლავე უნდა აღკვეთაც და შველაც, რადგან ფაქტია, რომ ეს ახალგაზრდები მათი მოქმედებებიდან გამომდინარე მხოლოდ დახმარებასა და შველას საჭიროებენ. უფსკრულის პირას მდგარი ახალგაზრდა ხომ ყოველთვის განწირულია.



მაინც სულ სხვაა უნივერსიტეტი!
ივანე ჯავახიშვილი

ისიც კარგად მოგვეხსენება, რომ პანდემიამ სტუდენტიც დააბნია და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაც. მე, პირადად, გულწრფელად ვიზიარებდი სტუდენტთა თავდაპირველ თხოვნას, მიმდინარე სემესტრი ონლაინ სწავლებით ან ჰიბრიდული ფორმით დაგვესრულებინა, რაც არ დამიმალავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის. მაგრამ ისიც კარგად მომეხსენება, რომ არაერთი სტუდენტი და პროფესორი აუდიტორიებში დაბრუნებას ითხოვდა. სტუდენტს დღეს არა აქვს უფლება თქვას, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ არ შეუსრულა მოთხოვნა და არ შეცვალა გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მოთხოვნათა სია იცვლება და იზრდება.

ბუნებრივია, სათქმელი კიდევ მაქვს, მაგრამ ყურადღებას გავამახვილებ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე:

ვაი, თუ, ამ სტუდენტებს თავისი მომავლის აშენება ასეთი ძალადობრივი ფორმით ესახებათ? ამის მაგალითი ხომ ბოლოდროინდელი მოვლენებია, საკუთრივ ის, რაც სმენიათ და რაც თვალით უნახავთ. და თუ ეს ასე არაა, მაშ, როგორ ბედავს და როგორ მიმართავს მათ უნივერსიტეტის ის პროფესორი, რომელმაც ორი ათეული წლის წინ კარიერა სწორედ „კმარას“ ნაკვალევზე „წარმატებით“ ააგო და ააშენა. ეს გახლავთ ირმა რატიანი, რომელიც არ დაკმაყოფილდა იმით, რომ მაშინ, სულ ახალგაზრდა გოგონას, თუნდაც მუყაითად მშრომელსა და ერთი შეხედვით მოკრძალებულს, უცებ ყველაფრის დირექტორობის პერსპექტივა გადაეშალა...




**უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორების გაყრის ფონზე ეს ახალგაზრდა ქალი ელვის სისწრაფით კონკურსის შედეგად გახდა სრული პროფესორი, იქვე მისთვის სახელდახელოდ შექმნილი სამკაციანი ინსტიტუტის დირექტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი და ა. შ. და ა. შ. საუბედუროდ, მისთვის ბოძებული ეს არაერთი „სიკეთე“ არ იკმარა და უნივერსიტეტის პროფესიულად ძლიერთა დასუსტებას მიჰყო ხელი. იმხანად მისი შესაძლებლობები რექტორისასაც აღემატებოდა. ამის თქმის უფლებას მაძლევს პირადად ჩემი გამოცდილება, საკუთრივ ის, თუ როგორ მდევნიდა წლების მანძილზე და როგორ ცდილობდა ჩემს განდევნას უნივერსიტეტიდან, რევოლუციამდე ჩემს რჩევებსა და კონსულტაციებს დამჯერად მომყოლი შვილის ტოლი ქალი.**

**ამას მე პირველად არ ვაცხადებ, რადგან ირმა რატიანი კოლეგების წინაშე საჯაროდ ვამხილე ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ, მაგრამ მისთვის ბოროტებით არ მიპასუხია, რაც ჩემს ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს.**

**ბოროტება უნდა ამხილოო, ნათქვამია სახარებაში. სხვაგვარად მისი თანამონაწილე ხდები და მეც ასე მოვიქეცი და მოვიქცევი ყოველთვის, რადგან ამით საზოგადოებას ვუერთგულებ.**

ირმა რატიანმა რეალურად ვერაფერი დამაკლო, მაგრამ, ეჭვგარეშეა, სამუდამოდ დაუნგრია პროფესიული ცხოვრება და გაუმწარა სიბერე მამამისის მეგობარ ლიტერატორს, რომელიც მსგავსად სხვებისა, ულმობლად განდევნა ლიტერატურის ინსტიტუტიდან. მის გვარს არ დავასახელებ, რადგან ის ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ირმა რატიანისგან მიღებული წამების ქრონიკა მან თავის დროზე ორგვერდიან საგაზეთო წერილში ასახა.

ვაი, თუ, ჩვენმა ახალგაზრდებმა იციან „კმარას“ ნაფეხურებზე გავლილი ირმა რატიანის „წარმატებული“ კარიერის ამბავი და დღეს მას ებაძებიან, მიუხედავად იმისა, რომ ი. რატიანმა უკვე მედიატორის მანტია მოირგო და ამბოხებული სტუდენტებისგან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამცველადაც გვესახება?

აი, პირუთვნელი მაგალითი უსინდისოდ ნაშენი კარიერისა.

იმედია, ირმა რატიანი და ეს აგრესიულად ამბოხებული ახალგაზრდები გადახედავენ თავიანთ ნამოქმედარს და ბოდიშს თუ ვერ მოიხდიან, დაფიქრდებიან მაინც ჩადენილ საქციელზე.

**ჯავახიშვილები და მელიქიშვილები აღარ არიან-მეთქი, ზემოთ ვთქვი, მაგრამ რაღად გვინდა საკუთარი თავი უნივერსიტეტში, თუ მათ მიერ ამ უნივერსიტეტის საძირკველშივე ჩადებული იდეა არ გადავარჩინეთ და არ ვაცოცხლეთ. ამიტომაც დროა, ჩვენ ყველამ ბრძოლის ჩვენი წილი გავიღოთ და „კმარას“ სამუდამოდ ვუთხრათ – კმარა!!!**

## საპატიო ბათუმელები და ბათუმის საპატიო მოქალაქეები დაჯილდოვდნენ

**ბათუმში საზღვაო ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიებების ფარგლებში საპატიო ბათუმელები და ბათუმის საპატიო მოქალაქეები აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ, აჭარის მთავრობისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმღვანელმა პირებმა დააჯილდოვეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.



მათივე ინფორმაციით, საპატიო ბათუმელებისა და ბათუმის საპატიო მოქალაქეების წოდება მიენიჭათ პირებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კულტურის, ხელოვნების პოპულარიზაციაში, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში.

**15 ივნისს აჭარაში საზღვაო ტურისტული სეზონი ოფიციალურად გაიხსნა. ბათუმში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე ზაფხულის ფესტივალი გაიმართა, სადაც სტუმრებმა მრავალფეროვანი მუსიკალური პროგრამითა და გასართობი ღონისძიებებით ისიამოვნეს. ბათუმის სანაპიროზე გაიმართა ფრანების შოუ, სპორტული და გასართობი აქტივობები, მოეწყო კონცერტები.**



# რუსეთის ლუგარის ლაბორატორია „ალელვებს“,

**მიუხედავად იმისა, რომ ლუგარის ლაბორატორია რუსეთის სამიზნეა, არაფერს ამბობენ ეშერის ლაბორატორიაზე, რომელიც დახურული სისტემაა და მთლიანად რუსეთის სამხედრო დაზვერვა აკონტროლებს.**




**უკრაინასთან ომის პარალელურად რუსეთი საქართველოსთვისაც იცლის. სამიზნე ისევ ლუგარის ლაბორატორია არის. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკის საქმიანობასთან დაკავშირებით მოსკოვის შიშებზე საუბრობს და ვაშინგტონისგან სამხედრო-ბიოლოგიური აქტივობის შესახებ პასუხს მოითხოვს.**

საინფორმაციო ფსიქოლოგიური ომის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი ამბობს, რომ რუსეთი უახლოეს მომავალში გეგმავს აამოქმედოს შესაბამისი მექანიზმი ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვის კონვენციის მიხედვით, რომელიც სახელმწიფოებს შორის კონსულტაციებს ითვალისწინებს კონვენციის მონაწილე ქვეყნებთან დებულებების შესასრულებლად, ასევე თანამშრომლობაზე ნებისმიერი გამოძიების ჩასატარებლად კონვენციის ვალდებულებების შესაძლო დარღვევებზე.

კითხვაზე – არის თუ არა ცნობილი ყოფილი საბჭოთა კავშირის რომელ ქვეყნებში აწარმოებენ ბიოლოგიურ სამუშაოებს? – ზახაროვამ განაცხადა, რომ არაერთხელ გამახვილდა ყურადღება საქართველოში საქმიანობაზე ლუგარის სახელობის ცენტრთან დაკავშირებით, სადაც მუდმივად არის გაშლილი ამერიკა-საქართველოს სახმელეთო ჯარების სამედიცინო კვლევების სამმართველო. მისივე თქმით, ამ ბიოობიექტის ბაზაზე ტარდება კვლევები მწერების გამოყენებით, როგორც განსაკუთრებულად საშიშ ბიოლოგიურ აგენტებსა და ინფექციების გამავრცელებლებზე.

**„პოსტსაბჭოთა სივრცეში შესრულებულ სამუშაოებზე აშშ აშკარა მიზეზებით დუმილს ამჯობინებს და არ იძლევა ინფორმაციას ნდობის გაზრდის ფარგლებში. იმის მტკიცება, რომ პენტაგონის და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების აქტივობა ფოკუსირებულია განსაკუთრებულად ჯანდაცვის საკითხებზე, სინამდვილეს არ შეესაბამება. ცხადია, რომ ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობა არ მოითხოვს ამერიკელი სამხედროების მონაწილეობას. მეტიც, ამერიკის მხრიდან არაერთხელ გაკეთებული განმარტებები, რომ ამერიკა აგროვებს ბიომასალებს და აწარმოებს მონიტორინგს ეპიდვითარებაზე, მხოლოდ აძლიერებს და ამყარებს ჩვენ შეშფოთებას კონვენციის დაცვის კონტექსტში, მათ შორის, უკრაინაში აღმოჩენილი ფაქტების გათვალისწინებით. თავის მხრივ, რუსეთის საქმიანობა სამედიცინო-ბიოლოგიურ სფეროში ატარებს მხოლოდ მშვიდობიან ხასიათს და სრულად შეესაბამება კონვენციის მიხედვით აღებულ ვალდებულებებს“,** – აცხადებს **მარია ზახაროვა.**

როგორც ცნობილია, 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ლუგარის სახელობის ლაბორატორიის გახსნის დღიდან, რუსეთის მედია ავრცელებს დეზინფორმაციას, თითქოს, ლაბორატორიაში ქიმიური, ბიოლოგიური იარაღი და საშიში ვირუსების შტამები იქმნება. მოსკოვთან დაკავშირებული აქტორები და რუსეთის ოფიციალური უწყებები შეერთებული შტატების მიერ ლუგარის ლაბორატორიაში ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე საუბრობენ. 2018 წლის ბოლოს ლაბორატორია დაათვალიერა 17 ქვეყნის წარმომადგენელმა ექსპერტმა, მათ დასკვნაში წერია, რომ ლაბორატორია მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო, მშვიდობიან მიზნებს ემსახურება.

2020 წლის 3 სექტემბერს კი, შსს-მ ლუგარის ლაბორატორიასა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე განხორციელებული კიბერთავდასხმის შესახებ განაცხადა. უწყების ცნობით, 1 სექტემბერს ცდილობდნენ სამედიცინო შინაარსის, მათ შორის, კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოპოვებას, მათ შორის, თბილისში არსებული ლუგარის ლაბორატორიიდან.

მიუხედავად იმისა, რომ შსს დღემდე არ ასახელებს ქვეყანას, საიდანაც განხორციელდა კიბერშეტევა, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ **პაატა იმნაძემ** ივარაუდა, რომ შეტევა სწორედ რუსეთის ფედერაციიდან განხორციელდა. ასევე, კიბერშეტევასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში რუსეთი ახსენა საქართველოს პრეზიდენტმა **სალომე ზურაბიშვილმა**. აღნიშნულ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკვე წლებია გრძელდება თავდასხმები ლუგარის ლაბორატორიაზე, რაც მეტწილად საინფორმაციო ომის ხასიათს ატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ ლუგარის ლაბორატორია რუსეთის სამიზნეა, არაფერს ამბობენ ეშერის ლაბორატორიაზე, რომელიც დახურული სისტემაა და მთლიანად რუსეთის სამხედრო დაზვერვა აკონტროლებს.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** ამბობს, რომ ღია წყაროებში გაკეთებული მონაცემების ანალიზით მას განსხვავებული პროფილი აქვს და მისი მეშვეობით, გარკვეულწილად, მიწისქვეშა პროცესების კონტროლი და მართვა ხორციელდება, მიზანშეწონილობის შემთხვევაში კი შესაძლებელია, ხელოვნური მიწისძვრების ინსპირირება.

როგორც ექსპერტი აცხადებს, ორივე ლაბორატორია ერთმანეთისგან გასხვავდება, ეშერის ლაბორატორია, რომელიც იურიდიულად ჩვენს ტერიტორიაზეა განთავსებული, ექვემდებარება ჩვენდამი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს და მისი ფუნქციონირება საფრთხის შემცველია საქართველოსთვის, განსხვავებით ლუგარის ლაბორატორიისგან, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ზახაროვას განცხადებას, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ამბობს, რომ ძალიან მძიმე ვითარებაა ზოგადად საქართველოში, რაზეც მეტყველებს პრემიერის განცხადებაც, რომ პოლიტიკური დაზვერვის მიმართულებით, სავარაუდოდ, ისეთი მოთხოვნებია საქართველოსთან მიმართებაში წაყენებული, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის მიუღებელია. მისი თქმით, ამის პარალელურად დაწყებულია მცოცავი ანექსიის გააქტიურების პროცესი რუსეთის მხრიდან, ასევე ლუგარის ლაბორატორიის მისამართით სადაზვერვო ხასიათის პროპაგანდისტული საქმიანობა.

**„ეს სამი მოვლენა ერთად უნდა იყოს განხილული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო კვლავ უცხო სახელმწიფოს მხრიდან აქტიური სადაზვერო ზეგავლენის ობიექტად კვლავ რჩება. თუ განვიხილავთ იმ გარემოებას, რომ ლუგარის ლაბორატორია ეს არის სტრატეგიული თანამშრომლობის ნაყოფი აშშ-თან დაკავშირებით და ის არის საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით, ვფიქრობ, რომ გარკვეული საზრუნავი აღნიშნული ლაბორატორიის საწინააღმდეგოდ რუსეთის ლაბორატორიას უნდა ჰქონდეს“,** – აცხადებს ექსპერტი.

* * *

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ ზახაროვას განცხადება რუსულ მოსახლეობაში ანტიამერიკული განწყობის გამყარებისთვის გაკეთებული ერთ-ერთი სვლაა. უკრაინაში მიმდინარე ომისა და დაწესებული სანქციების ფონზე, რუსეთს სჭირდება ანტიამერიკული რიტორიკა და ამის გასამყარებლად ისევ შემოაგდეს ლუგარის ლაბორატორიის თემა.

**„ამ შემთხვევაში, საქართველოს თემა შედეგიანი არ იქნება საერთაშორისო ასპარეზზე. არც ერთ ქვეყანას არ ექნება რეაქცია იმაზე, რომც რამე სერიოზული ხდებოდეს ლუგარის ლაბორატორიაში როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური მიმართულებით. მსოფლიოს ამგვარი ლაბორატორიები უამრავი აქვს. მაგრამ, თუკი ქართული მხარე გადაწყვეტს პროპაგანდისტულ ბრძოლას რუსეთთან, შეიძლება იყოს გარკვეული თემები, რომლებიც გამოდგება ამ ბრძოლაში, კერძოდ, რა ფუნქცია აქვს და რა პრობლემებს წყვეტს ცნობილი ეშერის ლაბორატორია აფხაზეთში. ჩვენ ხომ არასოდეს დაგვიყენებია ეს საკითხი? ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ საერთოდ, აფხაზეთის დატოვების ერთ-ერთი მოტივი ეშერის ლაბორატორია იყო. რა დგას ამის უკან, მანდ უკვე რუსეთია პასუხისმგებელი და სავარაუდოა, რომ პასუხისმგებელია არა მხოლოდ საქართველოს წინაშე, არამედ მსოფლიოს წინაშე. იმიტომ, რომ შეიძლება ეშერის ლაბორატორიაში ისეთი პროცესები მზადდება, რომელიც მსოფლიოსთვის არის სახიფათო.**

**ასე რომ, დუელი შეიძლება გაიმართოს, მაგრამ მეორე მხრივ ღირს თუ არა, ეს სხვა საკითხია იმიტომ, რომ ავად თუ კარგად, აფხაზეთის მიმართულებით, ჯერჯერობით გართულებები ნაკლებია და იქნებ უფრო უპრიანია, რომ დავტოვოთ ეს მიმართულება ისე, როგორც არის და ნაკლები მნიშვნელობა მივანიჭოთ ზახაროვას კომენტარებს“,** – აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

სამხედრო ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** თვლის, რომ ზახაროვას განცხადება არის შიდა აუდიტორიაზე გათვლილი ქმედება, რადგან რუსები კარგად მუშაობენ საკუთარ აუდიტორიაზე, ვიდრე გარე აუდიტორიაზე და წარმატებას აღწევენ ამ მიმართულებით.

**„მაგალითად, 60-70%-იანი მხარდაჭერა აქვს პუტინს უკრაინაში განხორციელებული არასამართლიანი ომის გამო, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. ვფიქრობ, ეს არის შიდა მოხმარებისთვის გაკეთებული. საკუთარი მოსახლეობა უნდა დაარწმუნონ იმ არარეალურ ფაქტებში, რომელსაც თვითონ აკეთებენ ოკუპირებულ აფხაზეთში.**

**ეშერის ლაბორატორია ეკუთვნის რუსეთის გენერალური შტაბის მე-12 მთავარ სამმართველოს, სადაც მუშაობენ მასობრივი განადგურების მიმართულებით და ყველაზე გასაიდუმლოებული სტრუქტურაა, რომელსაც ოფიციალურად ევალება ბიოლოგიურ, ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ შეიარაღებაზე მუშაობა“,** – აცხადებს **ვახტანგ მაისაია.**

**თამთა ქარჩავა**

## დიმიტრი მედვედევი: ორ წელიწადში უკრაინა საერთოდ იარსებებს მსოფლიო რუკაზე?



რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ ეჭვქვეშ დგება ორ წელიწადში უკრაინა იარსებებს თუ არა მსოფლიო რუკაზე.

**„უკრაინას სურს, შეერთებული შტატებისგან, ლენდ-ლიზის პროგრამის ფარგლებში, მიიღოს თხევადი ბუნებრივი აირი, ორი წლის შემდეგ გადახდის პირობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალ ზამთარს უბრალოდ გაიყინება. მაგრამ არსებობს კითხვა, ვინ თქვა, რომ ორ წელიწადში უკრაინა საერთოდ იარსებებს მსოფლიო რუკაზე? მაგრამ ამერიკელებს ეს უკვე აღარ აინტერესებთ, იმდენად არიან ჩართული „ანტირუსულ“ პროექტში, რომ მათთვის სხვა დანარჩენი უბრალოდ წვრილმანია“,** – აცხადებს მედვედევი.

**სანქციები გინდათ დაუწესოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ადამიანს, რომელმაც 3 მილიარდ დოლარზე მეტი ქველმოქმედება გაიღო თავისი ქვეყნისათვის. არც კი გაინტერესებთ, რამდენ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ახალგაზრდებს უცხოეთში სწავლა დაუფინანსა. ის ქართველ ხალხს უსაზღვროდ უყვარს, იმიტომ, რომ ხალხზე დღენიადაგ ზრუნავს.**

# ნუთუ არ გრცხვენიათ?!



**10 წელია, „ოცნებამ“ მყარად დააყენა ქვეყანა მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილდღეობის და განვითარების გზაზე. საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი მხარს უჭერს მას. ამიტომაც ყველა არჩევნებში სტაბილურად იმარჯვებს. ნაციონალები და მასთან მიტმასნილი,გაუგებარი წარმომავლობის,უავტორიტეტო, არაფრის გამკეთებელი (ქვეყნის მტრობის გარდა) ჯუჯა ოპოზიციური პარტიები 10 წელიწადია სისტემატურად სამარცხვინოდ მარცხდებიან.**

სამაგიეროდ, ქალბატონი კელი დეგნანი აქტიურად უჭერს მხარს უმცირესობაში მყოფ საქართველოს ამ ბნელ და ბოროტ ძალებს. ის არაკეთილსინდისიერად და არაობიექტურად ექცევა ჩვენ სამშობლოს. ეს აშკარად და ნათლად ჩანს მის ყოველდღიურ მოქმედებაშიც და უმოქმედობაშიც.

ეს არა ოდენ ელჩის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების — ჩვენი მოჩვენებითი „სტრატეგიული პარტნიორის“ მტკიცე პოზიციაა.

თუ ასე გაგრძელდა, აშშ მალე დაკარგავს საღად მოაზროვნე საქართველოს უდიდესი ნაწილის ნდობას და მხარდაჭერას.

ქალბატონო ელჩო, თქვენი უსამართლობა და არაობიექტურობა ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია!

**ევროპარლამენტის შეურაცხმყოფელი რეზოლუცია თქვენი შემოქმედებაცაა! იქ ჩაბუდებული საქართველოს მტრები სრულიად დაუმსახურებლად და მწვავედ გვაკრიტიკებენ. არავითარ გონივრულ ანალიზს არ აკეთებენ უბოროტესი და საქართველოს დამანგრეველი, ჭკუასუსტი სააკაშვილის 9-წლიან მმართველობაზე, თქვენს მიერ „დემოკრატიის შუქურად“ მონათლულზე, ძალაუფლების ძალისმიერი მეთოდებით ხელში ჩაგდებაზე, მის მიერ ჩვენი არაჩვეულებრივი ტერიტორიების, წალკოტი მიწა-წყლის დაკარგვაზე, მსხვერპლზე და ურიცხვ ლტოლვილებზე, მის მიერ საბიუჯეტო სახსრების განიავება-მითვისებაზე, გადავსებულ საპატიმროებზე, პატიმრების მასობრივ ჩახოცვებზე, მათ წამებაზე, გაუპატიურებაზე, სიკვდილით დასჯაზე, უდანაშაულო პიროვნებების დახვრეტაზე, ხალხის საკუთრების და ქონების ყაჩაღურად წაგლეჯაზე, იარაღით ვაჭრობაზე, ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოების შეურაცხყოფაზე, ტელეარხების და პრესის დარბევა-განადგურებაზე, არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე, სხვა მრავალ სიბინძურესა და უბედურებაზე... ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია.**

ამ საშინელების შემოქმედს თქვენ იცავთ, ექომაგებით, ამართლებთ, აქებთ კიდეც!

ნუთუ არ გრცხვენიათ?

მაკკეინი საგანგებოდ ახალ წელს — 1 იანვარს ჩამოფრინდა თბილისში და სახელმწიფო სახსრების ქურდი გიგი უგულავა პატიმრობიდან იმ დღესვე გაათავისუფლებინა!!! აღიარებული რეციდივისტი და ცნობილი ყაჩაღი რურუა პოლიტპატიმრად შერაცხეთ და გაგვანთავისუფლებინეთ.

აი, თქვენი სამართალი!

ზემოთ ჩამოთვლილ უმძიმეს დანაშაულებში ბრალდებულებს — კეზერაშვილს, მელიას, ადეიშვილს, მერაბიშვილს, ლორთქიფანიძეს, ბოკერიას, ბარამიძეს და სხვებს კბილებით იცავთ, ქვეყნის დამაქცევარ პატიმარ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნას და ასევე პატიმარ გვარამიას, 7 მილიონის გამფლანგველის გათავისუფლებას გვავალდებულებთ.

რისთვის, აგვიხსენით!

რატომ ერევით ასე უპრაგონოდ ჩვენს საშინაო საქმეებში? რომელ ძალადობაზეა ლაპარაკი, არ გრცხვენიათ?!

ძალადობა და არაადამიანური მოპყრობა თქვენკენ მოიკითხეთ. სამწუხაროა, თქვენ რომ ასე ხშირად, უხეშად ერევით ქვეყნის საკადრო პოლიტიკაში.

ჯერ მანქურთი ნანუაშვილი დაგვინიშნეთ სახალხო დამცველად, შემდეგ კი უტიფარი ლომჯარია. ისინი მხოლოდ ოპოზიციას, თქვენ მიერ მსუყედ დაფინანსებულ არასამთავრობოებს და ოპოზიციურ ტელეარხებს მფარველობენ.

მიეჩვიეთ თქვენ მიერ ნებისმიერი უკანონო და ჩვენი დამაზიანებელი მოთხოვნების ჩვენი მხრიდან უსიტყვოდ შესრულებას. აი, ამაში, მართლა ვცოდავთ.

ხალხს აინტერესებს, როდის შეწყვეტთ სისხლის სამართლის დამნაშავეების მფარველობას. დიპლომატს არ უნდა გესწავლებოდეთ, რომ ეს არ არის თქვენი საქმე.

ათეული წლების განმავლობაში მე მქონდა ძალიან მჭიდრო ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეშელონებთან. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ისე უხეშად ჩარეულიყვნენ ისინი საქართველოს საშინაო საქმეებში, როგორც ევროკავშირი, ევროპარლამენტი, ევროპის სახალხო პარტია, ევროსაბჭო და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.



**თუ ასე გაგრძელდა, აშშ მალე დაკარგავს საღად მოაზროვნე საქართველოს უდიდესი ნაწილის ნდობას და მხარდაჭერას.**

**ქალბატონო ელჩო, თქვენი უსამართლობა და არაობიექტურობა ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია!**

იმდენი სიცრუე და შეურაცხყოფა, რაც ევროპარლამენტის რეზოლუციაშია ჩემი სამშობლოს მიმართ არასდროს წამიკითხავს, არც მომისმენია... გრცხვენოდეთ, ევროპელო პარლამენტარებო. თქვენ ამცირებთ და აკნინებთ ჩვენს კანონიერ უფლებებს და ეროვნულ, ზოგადსაკაცობრიო მოვალეობებს!

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შესაბამისი სტრუქტურები საკავშირო ბიუჯეტიდან აფინანსებდნენ ძირითად (უმრავლეს) კაპიტალურ დაბანდებებს. უცხოურ ვალუტასაც გვიყოფდნენ. ყველანაირ ტექნიკას, ტექნოლოგიას, მასალებს, პროდუქციას უსასყიდლოდ გვაძლევდნენ. ეს თქვენთვის წარმოუდგენელია! მაშინ უმუშევრობა არ იყო, დემოგრაფიული მდგომარეობა კი გვქონდა საუცხოო, მოსახლეობა 5,5 მილიონზე მეტი იყო, ნაგვის ურნებში არავინ იქექებოდა და არც ერთი ხელგაწვდილი არ ითხოვდა შემწეობას.

30 წელია, თქვენ ჩვენი ვითომ „სტრატეგიული პარტნიორი“ ხართ და ეკონომიკაში წინ ვერ წავიწიეთ, პირიქით, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, სახალხო მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგები თითქმის განადგურდა, ჯართად გაიყიდა უიშვიათესი საწარმოები, სოფელი დაიცალა, უცხოეთში შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ სამუშაოებზე გარბის შრომისუნარიანი ხალხი, ქვეყნის მოსახლეობა თითქმის 2 მილიონით შემცირდა!

დარწმუნდა საქართველოს მოსახლეობა რომ თქვენ თითქმის არ გაინტერესებთ ჩვენი ბედ-იღბალი, ჩვენი ყოფნა-არყოფნა და უბრალოდ ჩვენი ცხოვრება, ჩვენი წინსვლა და განვითარება, თქვენ მხოლოდ თქვენი სტრატეგიული მიზნების განხორციელება გსურთ!

რაც ყველაზე საწყენი და დამაფიქრებელია, თქვენ არ იცით ჩვენი მდიდარი წარსული და საამაყო ისტორია. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოთ, რომ ჩვენ უძველესი კულტურის მქონე ერი ვართ, ჩვენი უნიკალური დამწერლობით, ჩვენ დავით აღმაშენებელიც გვყავდა, თამარ მეფეც და ერეკლე მეორეც, ჩვენ ილია ჭავჭავაძეც გვყავდა და იოსებ სტალინიც და საამაყო და სასიქადულო პატრიარქი ილია II — უწმინდესი და უნეტარესი. დაფიქრდით ევროსტრუქტურებო, ფიქრისთვის არის ადამიანი მოვლენილი და არა ცრუპენტელობისთვის და ნიშნის მოგებით ლაყბობისთვის!

სანქციები გინდათ დაუწესოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ადამიანს, რომელმაც 3 მილიარდ დოლარზე მეტი ქველმოქმედება გაიღო თავისი ქვეყნისათვის. არც კი გაინტერესებთ, რამდენ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე და ახალგაზრდებს უცხოეთში სწავლა დაუფინანსა. ის ქართველ ხალხს უსაზღვროდ უყვარს, იმიტომ, რომ ხალხზე დღენიადაგ ზრუნავს.

ქალბატონო კელი, თქვენ და კორუფციაში ჩაფლული უკრაინელი ხალხის მტერი მასხარა კომიკოსი ზელენსკი არადიპლომატიური გამოხტომებით, ყველანაირად ცდილობთ ჩაგვითრიოთ საქართველოსთვის დამანგრეველ ომში. ამასვე ცდილობენ ოპოზიციაში მომრავლებული პოლიტიკური „პროსტიტუტკები“ და ზელენსკის ახლო გარემოცვაში მყოფი იდიოტები და მოღალატე არახამია, რომელმაც თავისი წარმომავლობაც კი არ იცის.

ჩვენ ჯერ კიდევ მწარედ გვახსოვს 2008 წლის ომი რუსეთთან! თქვენ, როგორც „სტრატეგიულმა პარტნიორმა“, თითი თითზეც არ დააკარეთ. პირისპირ დაგვტოვეთ გამძვინვარებულ რუსეთის არმიასთან. **გაბრაზებულ გულზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ... სადღეისოდ ეს ვიკმაროთ!**



**ომარ მარგველაშვილი**

# პრემიერ-მინისტრი თურქეთის ელჩს გამოემშვიდობა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ფატმა ჯერენ იაზგანს შეხვდა. ელჩის გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობები და სტრატეგიული პარტნიორობის შემდგომი განვითარების საკითხები განიხილეს.**

საუბარი შეეხო რეგიონში არსებულ ვითარებას და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის აუცილებლობას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მშვიდობა და სტაბილურობა რჩება რეგიონის განვითარებისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის წინაპირობად. განიხილეს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული „სამხრეთ კავკასიაში სამეზობლოს მშვიდობიანი ინიციატივა“. აღინიშნა, რომ საქართველო ყოველთვის იყო სამხრეთ კავკასიაში მშვიდობიანი თანამშრომლობის და თანაცხოვრების მომხრე და მზადაა, ხელი შეუწყოს რეგიონული დიალოგის წარმართვას. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. აღინიშნა, რომ არსებული რეგიონული პროექტები საქართველოსა და თურქეთს შორის ეფექტური სტრატეგიული თანამშრომლობის და საიმედო პარტნიორობის ნათელი მაგალითია.



მთავრობის მეთაურმა თურქ დიპლომატს თურქეთსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებაში გაწეული ძალისხმევისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალ პროფესიულ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

# „ქვეყნის შენებას რა უნდა?!“



**21 ივნისს ბრიუსელში გაიმართება ევროპის მშენებელ ინჟინერთა მორიგი ფორუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ევროპის პროფესიონალ საზოგადოებების დელეგაცია, ევროკომისიის წარმომადგენლები, „საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების“ (GSCE) დელეგაცია, მისი პრეზიდენტის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, იური სვანიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ბელგიის დედაქალაქში გამგზავრებამდე შევხვდით და ვესაუბრეთ.**

# მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო პოლიტიკას ერთი უწყება უნდა წარმართავდეს!

**– ბატონო იური, თავდაპირველად გვინდა მკითხველს თქვენი თავი წარვუდგინოთ.**

– პროფესიული საქმიანობა ქალაქ ლენინგრადის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ყოფილი სსრ კავშირის ჩრდილოეთის რეგიონებში დიდი სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე დავიწყე. 1990-იან წლებში. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქალაქ ლენინგრადის ქართველთა სათვისტომოს თაოსნობით, სამშობლოში დავბრუნდი და მუშაობა სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციებში დავიწყე, თანაც ყურადღება ამ სფეროში უცხოურ მოწინავე კომპანიებთან საქმიან და მეგობრულ ურთიერთობათა დამყარება-გაძლიერებაზე მქონდა გამახვილებული, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთში მუშაობის პერიოდში ამ მხრივ საკმაოდ კარგი გამოცდილება შევიძინე. სამშობლოში დაბრუნებულს, მიზნად მქონდა დასახული ადგილობრივი სამშენებლო ბაზრის შესწავლა. ცოტა ხანში სამუშაოდ მშენებლობის სამინისტროში მიმიწვიეს, დროთა განმავლობაში კი იმაზე დავიწყე ფიქრი, რომ საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება „ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭოს“ (ECCE) დიდი ოჯახის სრულფასოვანი წევრი გამხდარიყო და დახმარებისთვის ბალტიისპირეთის ქვეყნების კოლეგებს მივმართე. ამ დროისთვის კი, კერძოდ, 2011 წლის ოქტომბრისთვის, ჩვენში სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება უკვე დაფუძნებული მქონდა, რომლის ეგიდით დარგის წამყვანი სპეციალისტების დიდებული რაზმი გაერთიანდა.

**– რას წარმოადგენს „საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება“ და რა საქმიანობას ეწევა ის საქართველოსა და საერთაშორისო ასპარეზზე?**

– ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებას „ევროსაბჭოს მშენებელ ინჟინერთა კომიტეტთან“ თანამშრომლობა წარმოადგენს, რომლის მიზნებია, უწინარესად, საქართველოს მშენებელ ინჟინერთა პროფესიული მომზადების მხარდაჭერა, სტატუსისა და პრესტიჟის ამაღლება და მისი ევროპაში წარმოჩენა, ასევე ტექნიკური, ნორმატიული და პროფესიული სტანდარტების დანერგვით მათთვის ხელშეწყობა-დახმარების გაწევა, მომავალი ინჟინრებისთვის მაღალი ხარისხის ცოდნის მიწოდება, შემდგომ სათანადო გამოცდილების მიღება და სხვ.

ჩვენს საზოგადოებაში გაწევრებული არიან სამშენებლო დარგის სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე სპეციალისტები და მის განვითარებაზე მზრუნველი მეცნიერები. აქტიურად ვმონაწილეობთ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებთან არსებულ სამეცნიერო-საკონსტიტუციო საბჭოებში, ვთანამშრომლობთ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და საინჟინრო აკადემიებთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებთან.

რაც შეეხება „ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭოს“ (ECCE), ის წარმოადგენს „ევროსაბჭოს სამშენებლო კვლევების, განვითარებისა და ინოვაციებისა“ (EUCEET) და „ევროპის მშენებელთა ფორუმის“ (ECF) ორგანიზაციების წევრს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ევროკომისიებში, ხელს უწყობენ ევროპის მშენებელ ინჟინერთა ფორმირებას, საერთო მიზნების განხორციელებას, ზოგადად, სამშენებლო სექტორის განვითარებას. ის აქტიურად თანამშრომლობს „ევროპის ინჟინერთა ფედერაციის ორგანიზაციასთან“ (FEANI) და „ევროპის საბჭოს ინჟინერთა პალატასთან“ (ECEC).

„ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭო“ ახორციელებს თავის წევრი პროფესიონალი ორგანიზაციების დარგში არსებულ სიახლეთა შესახებ დროულ ინფორმირებას, ეხმარება მათ დარგში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტაში. ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს „ამერიკის მშენებელ ინჟინერთა საზოგადოებასთან“ (JSCE) და „იაპონიის მშენებელ ინჟინერთა საზოგადოებასთან (ASCE), რაც საშუალებას აძლევს პროფესიონალთა გლობალურ დონეზე განხილული და გააზრებული იქნას სამშენებლო სფეროში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხი, მათ შორის ისეთები, როგორებიცაა ეკოლოგიური კატასტროფები და მშენებელ ინჟინერთა კვალიფიკაციის ამაღლება.

2012 წლიდან რეგულარულად ვმონაწილეობთ „ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭოს“ გენერალურ ასამბლეაში, რომელბიც წელიწადში ორჯერ იმართება და მაშინვე თბილისში მისი მოწყობის პატივი გვერგო, რასაც წარმატებით გავართვით თავი. მალევე თქვენი მონამორჩილი ამ ორგანიზაციის ბორდის წევრად ამირჩიეს, ხოლო 65-ე გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა, რომ მისი ქოლგის ქვეშ საქართველოში შექმნილიყო „სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო ცენტრი“, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარე ქვეყანას.



ამის შემდგომ, „საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება“ „მსოფლიო მშენებელ ინჟინერთა საბჭოს“ (WCCE) წევრადაც მიგვიღეს ამ ორგანიზაციის მე-12 გენერალურ ასამბლეაზე, ხოლო 2021 წლის 25 იანვარს ამირჩიეს WCCE-ის აღმასრულებელ კომიტეტში აზიის კონტინენტის წარმომადგენლად, რისთვისაც მეტად მძაფრი კონკურენციის დაძლევა მომიხდა. ამჟამად მიმდინარეობს ჩემი კანდიდატურის განხილვა-წარდგენა „მსოფლიო ინჟინერთა ორგანიზაციების ფედერაციაში“ (WFEO) ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების კომისიაში.

ისიც მინდა გითხრათ, რომ უკრაინაში „სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება“ (UCCE) ჩვენი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა და 2018 წელს ქ. ლონდონში გამართულ „გლობალურ ინჟინერთა კონგრესზე“ (GEG), მე წარვადგინე „ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭოს“ სრულ წევრად.

2019 წელს „დიდი ბრიტანეთის ინჟინერთა ინსტიტუტის“ (GEC) და ,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი მხარდაჭერით, უნივერსიტეტში შევქმენით ICE-ის სტუდენტური განყოფილება, რათა ჩვენს ახალგაზრდებს უცხოელ თანატოლებთან უშუალო კავშირების დამყარებასა და სამშენებლო დარგში ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე მეტად წარმოჩენის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ერთობ ნაყოფიერი თანამშრომლობა და მეგობრობა გვაქვს ამერიკის და იაპონიის მშენებელ ინჟინერთა საზოგადოებებთან.




**– სულ რამდენიმე დღეში „საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოების“ დელეგაცია ბრიუსელში „ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭოს“, „ევროპის საბჭოს ინჟინერთა პალატის“ (ECEC) და „ევროპის ინჟინერთა ფედერაციის ორგანიზაციის“ (FEANI) „ევროპის მშენებელ ინჟინერთა დღესთან“ დაკავშირებულ გენერალურ ასამბლეაზე გაემგზავრება, ხოლო 24 ივნისს იქ ევროსაბჭოში საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილება. როგორია ქართველ მშენებელ ინჟინერთა ამ ორ მნიშვნელოვან მოვლენაში მონაწილეობის გეგმები?**

– გენერალური ასამბლეის სხდომა ბრიუსელში 21 ივნისს, ინჟინერთა საერთაშორისო დღეს გაიმართება და 22-ში დასრულდება, 23-24-ში კი ევროკავშირში ჩვენი ქვეყნისთვის (უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად) წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი განიხილება. ამიტომაც, ჩვენი მთავრობის მხარდასაჭერად და გვერდში ამოსადგომად, კიდევ ორ დღეს დავრჩებით, რათა წარმოვაჩინოთ საკუთარი საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყნის აღმშენებლობა და აღმასვლის უზრუნველყოფა, ასევე თვალნათლივი გავხადოთ, რომ საქართველოს აქვს უდიდესი პოტენციალი საიმისოდ, რომ ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპელ ხალხთა თანამეგობრობაში. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო მშენებელ ინჟინერთა მოკრძალებული წვლილი საერთო ეროვნულ საქმეში.

**– რა მიღწევები აქვს თქვენს ასოციაციას და რა პრობლემები თუ გადასაჭრელი საკითხები დგას ზოგადად სამშენებლო დარგის წინაშე საქართველოში?**



– თავდაპირველად მინდა გითხრათ, რომ ჩვენი საზოგადოება მშენებელ ინჟინერთა ევროპული ოჯახის სულ ახალბედა წევრი გახლდათ, როცა მისი 54-ე გენერალური ასამბლეისა და პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „სეისმიკა-2014“ მოწყობის პატივი თბილისს ერგო და ეს მისია ჩვენ ღირსეულად შევასრულეთ.

„ევროპის მშენებელ ინჟინერთა საბჭო“ გამოსცემს საკუთარ პერიოდულ ჟურნალს, სადაც დარგის მოწინავე მიღწევები საჯაროვდება და თითქმის ყოველ ნომერში სამამულო მშენებელ ინჟინერთა წარმატებული საქმიანობის თაობაზე შესაბამისი სტატიები იბეჭდება, რაც, ცხადია, სიხარულით აღგვავსებს. ჟურნალში არაერთი მეტად საგულისხმო წერილი დაიბეჭდა ჩვენში სამშენებლო დარგში, როგორც მიღწეული პრაქტიკული შედეგების, ასევე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შესახებ.

რაც შეეხება გადასაჭრელ საკითხებს, ისინი საკმარისადაა, თუმცა კი ყველაზე მნიშვნელოვანი და საშურია სამშენებლო დარგის ინსტიტუციონალური მოწყობის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხი. საქმე ისაა, რომ სამშენებლო სექტორს საქართველოში აშკარად აკლია ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან. ამიტომაც იყო, რომ დარგში მომუშავე პროფესიონალებმა არქიტექტორთა კავშირიდან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან, მეცნიერებათა ეროვნული და საინჟინრო აკადემიებიდან და მრეწველთა ასოციაციიდან, ვიმსჯელეთ, თუ რის გაკეთება იყო საჭირო პირველ რიგში საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის მისაღწევად, როგორი უნდა იყოს მისი ხელმძღვანელი ორგანო.

**ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, რომ ევროპის თუ მსოფლიოს მშენებელ ინჟინერთა ორგანიზაციებში გაერთიანებულ, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში, ამ დარგს ცალკე სახელმწიფო სტრუქტურა მართავს, სამინისტროს ან ცალკე დამოუკიდებელი დეპარტამენტის სახით. თანაც სამშენებლო დარგს ჩვენში ამჟამად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განკარგავს, რაც ერთობ არალოგიკურია. ამიტომ ჩვენ ამ ფუნქციის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გადაცემის წინადადებით მივმართეთ მთავრობას, რაზეც თანხმობაც მივიღეთ, მაგრამ ეს ამბავი... 2015 წელს მოხდა, მას შემდეგ კი აგერ უკვე შვიდი წელია(!) ყველაფერი ძველებურადაა...**

საქართველოში სამშენებლო დარგის შემდგომი განვითარების ხელშესაწყობად, სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, შემუშავებული გვაქვს საქართველოს სივრცის მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის კოდექსში შესატან საკითხთა ნუსხა.

მდგომარეობიდან ერთგვარი გამოსავლის სახით, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან შეიქმენა სამუშაო ჯგუფი, რომლის მეშვეობით გარკვეული პრობლემების გადაჭრას მაინც ვახერხებთ. არადა, სამშენებლო სექტორს საქართველოში ინსტიტუციური მოწყობის ძირფესვიანი შეცვლა რომ სჭირდება, ფაქტია, ამას თუნდაც ის გარემოება მოწმობს, რომ ამჟამინდელ ეკონომიკის სამინისტროში ამ სექტორს მცირე ჯგუფი განაგებს(?!).

**ახლა დღის წესრიგში დგას მშენებლებისა და არქიტექტორების სავალდებულო სერტიფიცირების, კიდევ მრავალი სხვა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა გადაწყვეტას, პროფესიონალთა საერთო აზრით, ერთი კონკრეტული უწყება უნდა ახორციელებდეს, რომელიც არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფს.**

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**



# საქართველოს ბუნების დიდი მესაიდუმლე

## გიორგი ნახუცრიშვილი 90 წლისაა

**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ცნობილ ბიოლოგს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გიორგი ნახუცრიშვილს 90 წელი შეუსრულდა.**

იგი თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე შეუდგა სამეცნიერო მოღვაწეობას და დღემდე ჩვეული ენთუზიაზმით აგრძელებს მას. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ სწავლულ მდივნად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ბოლოს კი ინსტიტუტის დირექტორად. 1980-2006 წლებში გიორგი ნახუცრიშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია, 2006 წლიდან კი ილიას უნივერსიტეტის სრული პროფესორი და დღემდე ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია.

გიორგი ნახუცრიშვილის სამეცნიერო კვლევის ძირათადი მიმართულებებია: მცენარეებისა და მათი ბიოტოპების მრავალფეროვნება, ფიტოსოციოლოგია, ექსტრემალური პირობებისადმი მცენარეთა ადაპტაციის სტრატეგიები, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ალპური მცენარეულობის ტრანსფორმაცია, მცენარეები, როგორც ბიოკლიმატური ინდიკატორები, კავკასიონისა და ალპების მცენარეულობის შედარებითი ანალიზი, კოლხური ტყის ადგილი დედამიწის ბიოგეოგრაფიულ სისტემებში.

მისი ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით გამოქვეყნებულია „საქართველოს ფლორის“ ტომები, შედგენილია საქართველოს მცენარეულობის რუკა, შესწავლილია მაღალმთის ექსტრემალურ გარემოში მცენარეთა ადაპტაციის მექანიზმები, მცენარეული საფარის შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია და რეკომენდებულია საქართველოს დაცული ტერიტორიები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნიკო კეცხოველისა და გიორგი ნახუცრიშვილის მიერ 1969 წელს ყაზბეგის მაღალმთის ეკოლოგიური სადგურის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტეფანწმინდის ალპური ეკოლოგიის ინსტიტუტი) დაარსება, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ალპური ტერიტორიების კვლევის განვითარების საქმეში. სადგურმა მალე მოიზიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და ყაზბეგის მაღალმთის ეკოლოგიური სადგური ალპური ეკოლოგიის საერთაშორისო ცენტრად იქცა. 1970-იანი წლების ბოლოს პროფ. ვალტერ ლარხერმა (ინსბრუკის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი) გ. ნახუცრიშვილთან ერთად ამ სადგურზე ალპურ მცენარეთა ექსპერიმენტული კვლევა დაიწყო. საველე სამუშაოს უძღვებოდნენ პროფესორები ა. ჩერნუსკა და პროფ. ქ. კიორნერი.



გია ნახუცრიშვილი 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 7 მონოგრაფიისა და ორი სახელმძღვანელოს ავტორია. მას 1961 წელს მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1972 წლიდან კი მეცნიერებათა დოქტორის წოდება. არის საქართველოსა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდენტი, ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUNC) სახეობათა გადარჩენის კომისიასთან ასოცირებული კავკასიის მცენარეთა წითელი ნუსხის ავტორიტეტული ჯგუფის ხელმძღვანელი.

სამეცნიერო ასპარეზზე დიდი წარმატებებისა და მიღწევებისათვის მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის და ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემიები, დაჯილდოვდა პოლონელი ბოტანიკოსის ვ. შაფერის სახელობის მედლით.

ბატონი გიორგის სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდასთან, მას დიდი ამაგი მიუძღვის ბოტანიკოსთა და ეკოლოგთა მომზადების საქმეში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი ნახუცრიშვილის სამაგალითო პიროვნული თვისებები — კეთილშობილება, თავმდაბლობა და მაღალზნეობრიობა.

ვულოცავთ ბატონ გიას ღირსშესანიშნავ იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობისა და ენერგიის შენარჩუნებას, დაწყებული საქმეებისა და მომავალი შემოქმედებითი გეგმების შესრულებას, რათა თავისი ცოდნა კვლავაც წარმატებით მოახმაროს ქართული მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება**

# ამირანაშვილის სახელობის მუზეუმის ექსპონატები უსაფრთხო სივრცეში გადადის

**დღეისთვის შალვა ამირანაშვილის სახელობის მუზეუმის მთავარი კორპუსიდან, რომელიც ავარიულია, გადატანილია 60 ექსპონატი. დღესაც მიმდინარეობდა ტრანსპორტირების პროცესი და გაგრძელდება მანამდე, ვიდრე სრული კოლექცია არ იქნება გადატანილი უსაფრთხო შენობაში,** — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა გადაცემაში „იმედი LIVE“ განაცხადა. მისი თქმით, ხელოვნების მუზეუმს გაუჩნდა ახალი ინფრასტრუქტურა.

**„ეს შენობა ადრე, ვიდრე ამ პოზიციაზე დავინიშნებოდი, ეკუთვნოდა ჯანაშიას მუზეუმს, თუმცა ის აღარ ეკუთვნის ჯანაშიას მუზეუმს, ის არის კორპუსი, რომელიც სრულად დარეგისტრირდა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის მფლობელობაში. შესაბამისად, ამ ფორმით ხელოვნების მუზეუმს გაუჩნდა ახალი ინფრასტრუქტურა. თანამედროვე, არაავარიული, სადაც უკვე ჩვენ საგანძური კი არ გაგვაქვს ამ მუზეუმიდან სხვა მუზეუმში, არამედ გადადის იმავე მუზეუმის სხვა კორპუსში. ეს კორპუსი დარჩება ხელოვნების მუზეუმის საკუთრებად. ყველაფერი კარგად მიმდინარეობს, იტალიელი ექსპერტები არიან ჩართული ქართულ იტალიური ჯგუფი მუშაობს, როგორც დროებით გამაგრებაზე, ისე, ტრანსპორტირებაზე და ამ ყველაფერს სათავეში უდგას შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, ეროვნული მუზეუმის დირექტორის პირველი მოადგილე ნიკა ახალბედაშვილი, რომელიც თავიდან დიდად ვერ შეითვისეს მისი ახალგაზრდა ასაკის გამო, წინა თაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ ეს ქვეყანა ყველასია. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ ნიკას, იმ ჯარისკაცობისთვის, რასაც ამ ქვეყნის დაცვა და ქართული კულტურისთვის ამაგი ჰქვია“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# ლია სიხარულიძე — საქართველოს საგანძურის სამსახურში

**მინისტრი თეა წულუკიანი Silk Factory Studio — „აბრეშუმის გალერეაში“ ხელნაწერთა მხატვარ-რესტავრატორის ლია სიხარულიძის პერსონალური გამოფენის „საქართველოს საგანძურის სამსახურში“ გახსნას დაესწრო.**

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციით, ექსპოზიციის ფარგლებში წარმოდგენილია შუა საუკუნეების ძველი ხელნაწერებისა და ისტორიული საბუთების მულაჟები — შესრულებული ტყავსა და ქაღალდზე; დაფერილი ოქროს გამოყენებით შესრულებული მინიატიურებისა და ისტორიული საბუთების ასლები (აღნიშნული სიძველეების ორიგინალები დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრში).

გამოფენის გახსნაზე გაიმართა ლია სიხარულიძის სამნაწილიანი უნიკალური კრებულის, „საქართველოს საგანძურის სამსახურში“, პრეზენტაცია. წიგნში განხილულია ძველი ხელნაწერების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების სპეციფიკა და მეთოდები; შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული საბუთების, დაშ-



ლილი და დაზიანებული ფერწერის გამაგრება-კონსერვაციის საკითხი, აღწერილია მულაჟების დამზადების ხელოვნება. 523-გვერდიანი წიგნი ილუსტრირებულია ფოტომასალით, რომელიც ასახავს სიძველეთა მდგომარეობას რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ.

# „მართვეს“ ახალი სიცოცხლე

**თეა წულუკიანმა იმ პროექტის დეტალებზე ისაუბრა, რომელსაც კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ანსამბლ „მართვესთან“ ახორციელებს.** ანზორ ერქომაიშვილს გაუხარდებოდა ის ფაქტი, რომ „მართვე“ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა, რადგან ეს ანსამბლი „მისი შვილია“.

**„მართვე“ გამოვყავით ანსამბლ „რუსთავიდან“ იმისთვის, რომ ბატონი მიშა ჯავახიშვილი ჩასდგომოდა მას სათავეში. ყველა იმ მშობელს, ვინც „მართვეში“ მიიყვანა თავისი შვილები, მინდა ვუთხრა მადლობა, იმიტომ, რომ ეს არის მომავალი თაობა, რომელიც შეცვლის ახლანდელ მომღერლებსა და მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს. 2 ივლისს, 11 საათზე ყველას გეპატიჟებით ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ჩვენს „მართვეებს“ ვუკერავთ სახელდახელოდ და სწრაფად კარგი ხარისხის ჩოხებს (მათ არ ჰქონდათ), გვექნება პატარა მართვეების „მართვეს“ პირველ თაობასთან შეხვედრა, დავაანონსებთ „მართვეს“ ახალ სიცოცხლეს ანზორ ერქომაიშვილისა და 70-იანი წლების ლოგოთი და გვექნება ამ ყველაფრის ინაუგურაცია“,** — განაცხადა მინისტრმა.

# მსოფლიო ჯაზის ვარსკვლავები - თბილისის ფესტივალზე

**7-9 ივლისს თბილისი რიგით 25-ე ჯაზფესტივალს უმასპინძლებს. ტრადიციულად, წლევანდელი ფესტივალის მონაწილეები მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები არიან:**

**7 ივლისი** — 5 გრემის მფლობელი, ჯაზის განუმეორებელი შემსრულებელი **დაიანა რივსი** და ჯაზ ვარსკვლავებით დაკომპლექტებული მისი ბენდი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: პიანისტი **ჯონ ბისლი**, გიტარისტი **რომერო ლუბამბო,** ბასისტი **იტაიგურა ბრენდაო** და დრამერი **ტერეონ გული.**

**8 ივლისი** — მისტიური პროექტი „ქროსქურენთს ტრიო“, რომელიც აერთიანებს ჯაზის სამ ლეგენდას: ბასისტი **დეივ ჰოლანდი,** საქსოფონისტი **ქრის პოტერი** და პერკუსიონისტი **ზაქირ ჰუსეინი.**

**9 ივლისი** — მსოფლიო კრიტიკოსების მიერ წოდებული 21 საუკუნის ჯაზმენი **ვიჯეი აიერი** და მისი საოცარი ტრიოს წევრები: ბასისტი **ლინდა მეი ჰან ოუ** და დრამერი **თიშოუნ სორეი.**

წლევანდელი საიუბილეო ჯაზ-ფესტივალის მასპინძელია „შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი“. ფესტივალის განმავლობაში, სასტუმროს ფოიეში გაიმართება ფოტოგამოფენა სახელწოდებით „როგორც მესმოდა...“, რომლის ავტორია ახალგაზრდა ფოტოხელოვანი თეიო.

დარბაზში „ჯაზსინემა“ მოეწყობა კახა თოლორდავას ფილმის „პირველ პირში — ერთი ფესტივალის ისტორია“ ჩვენება, მაყურებელი ასევე იხილავს გრემის ჯილდოს მფლობელ ფილმს „ქვინსი“ (სადაც გამოყენებულია 2016 წლის შავი ზღვის ჯაზფესტივალის ეპიზოდი). პარალელურად, დარბაზში „ჯაზლაბი“, სტუმრები კონსერვატორიის ჯაზფაკულტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილ კომპოზიციებს მოისმენენ. მთავარ დარბაზში „ვარსკვლავების სცენა“ ჰედლაინერების კონცერტები გაიმართება. ფესტივალის დღეებში კომპანია „აუდიო ლაბი“ მოაწყობს ვინილების გამოფენა-გაყიდვას.





# 1. ბორის ჯონსონი დანებებას არ აპირებს!

**გამარჯობა! ქვეყანას, რომელსაც მთავრობის მეთაურებად, უინსტონ ჩერჩილი, ჰაროლდ უილსონი და მარგარეტ ტეტჩერი ჰყოლია, თითქოს, ვერაფრით ვეღარ გააკვირვებ, მაგრამ ბრიტანეთის დღევანდელმა ლიდერმა ბორის ჯონსონმა, ქვეყნის მართვის თუ პირადი ცხოვრების თავისებური სტილით, საკუთარ ქვეყანაშიც და მის ფარგლებს გარეთაც მიიქცია ყურადღება. მის მიმართ განწყობა არაერთგვაროვანია. სულ ახლახან, ქვეყნის პარლამენტმა მას უნდობლობა გამოუცხადა და მისი ქვეყნის პრემიერად ყოფნა-არყოფნის საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. პოსტიდან ჯონსონის გადაყენებას, სულ მცირე, 180 პარლამენტარის ხმა სჭირდებოდა, მაგრამ გადაურჩა მარცხს: მის გადაყენებას მხოლოდ 148 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 211-მა კი, ნდობა გამოუცხადა. ინგლისური კანონმდებლობით, ასეთი კენჭისყრის შემდეგ, პრემიერ-მინისტრს 12 თვე შეუძლია მშვიდად იყოს, რადგან ამ ხნის განმავლობაში, მის მიმართ სხვა პრეტენზიის წაყენებას კანონი არ ითვალისწინებს.**

უნდობლობის გამოცხადების ინიციატორი, ბრიტანეთის პარლამენტის კონსერვატული პარტიის ფრაქციის 54 დეპუტატი იყო, რომლებმაც ჩათვალეს, რომ ჯონსონს თანამდებობა, კორონავირუსის პანდემიის დროს აკრძალული წვეულებების დაშვების გამო უნდა დაეტოვებინა. 2020 წელს, ბორის ჯონსონი სამ ასეთ ღონისძიებას დაესწრო. ერთ-ერთ წვეულებაში მისი მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია იანვარში გავრცელდა. მაშინ, პრემიერ-მინისტრმა თავი იმართლა, რომ მხოლოდ 25 წუთი დაჰყო იქ, და მერე მუშაობა განაგრძო. თურმე, ჰგონებია, რომ შეკრება სამუშაო ღონისძიება იყო.

მოგვიანებით, მან ამ გადაცდომის გამო ბოდიში მოიხადა. ჯონსონის პოლიტიკური ცხოვრება სავსეა ოფიციალური თუ პირადული ექსცესებით. ბრიტანელი ჟურნალისტების აზრით, ჯონსონი, როგორც პიროვნება, საზოგადოებაში მუდმივად იწვევს პოლარიზაციას. მისი გაპრემიერებაც ასეთსავე ფონზე მოხდა. საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, 2016 წელს, მან კონსერვატულ პარტიაში, მთავრობის მაშინდელი მეთაურის, ტერეზა მეის წინააღმდეგ ამბოხი მოაწყო, რის შედეგადაც, ქალბატონ პრემიერს თანამდებობიდან გადადგომა მოუწია.

ბორის ჯონსონი კი, კონსერვატორთა ლიდერი გახდა, თუმცა, ძალიან მალე, მუშაობის მისებური სტილისა და პარტიასთან მისი ურთიერთობის თავისებურებათა გამო, მას ბევრი ოპონენტი გაუჩნდა. მაგალითად, როგორც კი პრემიერ-მინისტრის პოსტზე აღმოჩნდა, საკუთარ მთავარ მრჩეველთან, დომინიკ კამინგსთან, საშინლად დაეძაბა ურთიერთობა. მოგვიანებით, სამსახურიდან გათავისუფლებულმა კამინგსმა ჟურნალისტებს ჯონსონის კულუარული და პოლიტიკური ცხოვრების დეტალები გაანდო. მან ჯონსონი კორუფციასა და სახელმწიფოს მართვის სისუსტეში დაადანაშაულა.

ასე თქვა, ქვეყნის პირველი ქალბატონი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში რემონტის ჩასატარებლად კერძო ბიზნესმენის ფულს იყენებსო. ბორის ჯონსონს ამაზეც მოუწია ახსნა-განმარტების გაკეთება, მაგრამ ის თითქმის ყოველთვის, ყოველგვარი სკანდალიდან მშრალად გამოდის ხოლმე. რამდენიმე დღის წინ ჩატარებულმა კენჭისყრამ აჩვენა, რომ პარტიაში ბორის ჯონსონით უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება. და არა მხოლოდ პარტიაში! ამომრჩეველიც უკმაყოფილოა ბორის ჯონსონით, უმთავრესად, ბრექსიტით, ანუ ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოყოფით, რის გამოც ირლანდიისა და ინგლისის საზღვარზე პრობლემები წარმოიშვა.

ადრე, ეს საზღვარი, ბრიტანელებისთვის, სავაჭროდ და სამიმოსვლოდ, ღია იყო. ახლა კი, ევროკავშირმა საზღვარი დაკეტა, რამაც ჩრდილოეთ-ირლანდიაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იგივე ბრექსიტის გამო, ინგლისის მეთევზეებს ევროკავშირის წყლებში თევზჭერა აეკრძალათ. ჯონსონი ხალხს პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა, მაგრამ ბრიუსელთან ჯერჯერობით ვერაფერს გახდა. ოპოზიციამაც მძიმე ბრალდებები წაუყენა პრემიერ მინისტრსა და მის კაბინეტს. ლეიბორისტები მას პანდემიის დასაძლევად გამოყოფილი ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებენ.

მოკლედ, ბორის ჯონსონის საქმე მთლად კარგად ვერ არის, თუმცა, მეორე მხრივ, უჩვეულო არაფერი ხდება: უახლეს ისტორიას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრების მიმართ უნდობლობის გამოცხადების სხვა შემთხვევებიც ახსოვს. მაგალითად, მარგარეტ ტეტჩერმა თანამდებობა, მის მიმართ უნდობლობის გამოცხადების დაძლევიდან, რვა დღის შემდეგ დატოვა. ტერეზა მეი ექვსი თვის შემდეგ გადადგა. ჯონ მეიჯორი კი, საყოველთაო არჩევნებში, მის მიმართ უნდობლობის გამოცხადების შემდეგ, ძალიან მალე დამარცხდა. თუ როდის დაყრის ფარ-ხმალს ბორის ჯონსონი, არავინ უწყის, მაგრამ, როგორც პრემიერ-მინისტრის პრეს-მდივანმა განაცხადა, ის დანებებას არ აპირებს. მისი აზრით, ჯონსონი საომრად მზადაა და მისი გადაყენება ასე ადვილი არ იქნება. ბორის ჯონსონს ზურგს ისიც უმაგრებს, რომ კონსერვატულ პარტიას მისი ღირსეული ალტერნატივა არ ჰყავს. ვარაუდობენ, რომ ჯონსონის მიმართ კონსერვატორთა ბუნტის გაგრძელების შემთხვევაში, მასთან ერთად, პარტიაც ჩაიძირება.

# 2. თურქეთი მაშინაც ეშმაკურად თამაშობდა რუსეთთან!

**იშვიათად თუ გვქონია წერილი, რომელშიც თურქეთი არ ყოფილა ნახსენები, ასე თუ ისე. ეს, ალბათ, იმითააა გამოწვეული, რომ თურქეთის რესპუბლიკა და მისი მეთაური ხშირად ფიგურირებს ხოლმე საერთაშორისო ახალ ამბებში. გარდა ამისა, თურქეთის სახელმწიფოს ისტორია, მსოფლიო ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია. თურქეთის, იგივე ოსმალეთის იმპერიის, დაღმასვლა მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო, და მისი დანაწევრებაც გარდაუვალი აღმოჩნდა. პირველმა :ომმა, რომელშიც გერმანია თურქეთის მოკავშირე იყო, საბოლოოდ დაშალა ეს დიდი და ძლიერი იმპერია. შედეგი ცნობილია: ისინი სასტიკად დამარცხდნენ ამ ომში. იმპერიის ნარჩენების გადანაწილება ევროპის ქვეყნებმა მოისურვეს.**



1918 წლის 13 ნოემბერს, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის არმიებმა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი, კონსტანტინოპოლი ჩაიგდეს ხელში. ანტანტამ, ანუ ინგლისი, საფრანგეთსა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ბლოკმა, ოსმალეთი აიძულა ხელი მოეწერა ისეთ ზავსა და ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვით ოსმალეთი დიდი რაოდენობის მიწებს კარგავდა და ნაწილებად იშლებოდა. ამ მიწების ოკუპაციამ თურქეთში ეროვნული მოძრაობის ჩასახვას მისცა ბიძგი, რომლის გამოკვეთილ ლიდერად გენერალი მუსტაფა ქემალი იქცა. 1919 წელს, თურქეთის ეროვნული კონგრესი დაარსდა, რომელშიც თურქეთის პატრიოტული ძალები გაერთიანდნენ. ანტანტის მიერ კონსტანტინოპოლის ოკუპაციისა და ოსმალეთის პარლამენტის დაშლის შემდეგ, მუსტაფა ქემალმა ანკარაში საკუთარი პარლამენტი მოიწვია.

ეს იყო თურქეთის დიდი ეროვნული კრება, რომელმაც 1920 წლის 23 აპრილს, მუსტაფა ქემალი პარლამენტის თავმჯდომარედ და მთავრობის მეთაურად აირჩია, თუმცა, ეს პარლამენტი არც თურქეთის სულთანმა და არც უცხოეთმა არ აღიარა. თურქეთში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. ქემალის მეთაურობით, თურქეთის ეროვნულმა მოძრაობამ არ სცნო არცერთი წინათ დადებული ხელშეკრულება. რაც შეეხება მათ აღსრულებას, ანტანტის სახელმწიფოებს არც სურვილი და არც საკმარისი ძალა არ გააჩნდათ ამისთვის.

ასეთ პოლიტიკურ ფონზე ანატოლიაში აგორებული წინააღმდეგობის მოძრაობის ჩახშობა საკუთარ თავზე საბერძნეთმა აიღო, რომლის სამხედრო ძალებმა იზმირისა და თურქეთის დასავლეთი ნაწილი დაიკავეს. საბერძნეთის სამხედრო ძალებსა და ქემალისტებს შორის გაცხარებული სამხედრო მოქმედება დაიწყო. თურქეთის ახალ სახელმწიფოს არ ჰქონდა საკმაო ფული და იარაღი ბრძოლის გასაგრძელებლად. მუსტაფა ქემალი გამალებით ეძებდა მოკავშირე ქვეყანას, რომელიც თურქეთის ახალშობილ რესპუბლიკას დახმარებას გაუწევდა. დახმარება კი, საბჭოთა რუსეთიდან მოვიდა.

1920 წლის მაისში, ქემალმა ლენინს წერილით მიმართა, რომელშიც საბჭოთა რუსეთს დახმარებას სთხოვდა. სანაცვლოდ, ქემალმა პირობა დადო, რომ თურქეთში სოციალისტურ კურსს გაატარებდა და ხელს შეუწყობდა თურქეთის კომუნისტური პარტიის შექმნას. ქემალის წერილმა საბჭოთა რუსეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რადგან ლენინური მართვის ერთ-ერთი პრიორიტეტი მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელება იყო. წერილის მიღებიდან ზუსტად ერთ თვეში, ლენინმა თურქეთში დიპლომატიური მისია გააგზავნა. საბჭოთა დიპლომატები პირადად უნდა შეხვედროდნენ ქემალს და თავად დარწმუნებულიყვნენ მის ერთგულებაში.

თურქეთის ლიდერმა თავისი ქარიზმით რუსეთის ემისრები მოხიბლა და საკუთარი გეგმის გულწრფელობაში დაარწმუნა. ამის შემდეგ, საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ კიდევ რამდენიმე დიპლომატიური მისია გააგზავნა თურქეთში. მათ შორის, ქართველი ბოლშევიკებიც იყვნენ, მაგალითად, შალვა ელიავა. 1921 წელს, ის რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელი იყო თურქეთში. ქართველი ბუდუ მდივანიც იყო ანკარაში საბჭოთა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მთავარი ემისრები მუსტაფა ქემალთან გენერლები, ფრუნზე და ვოროშილოვი იყვნენ, და მათთან ერთად, რუსი დიპლომატი არალოვი.

მოკლედ, რუსეთმა გადაწყვიტა დახმარებოდა ახალ თურქეთსა და მის ახალ ლიდერს. 1920 წელს, რუსეთის შავი ზღვის ნავსადგურებიდან იარაღით სავსე რუსული გემები გავიდნენ, რომელთაც თურქეთის შავი ზღვის ნავსადგურებში საბჭოთა იარაღი უნდა ჩაეტანათ. მთლიანობაში, 1920-22 წლებში კომუნისტურმა რუსეთმა თურქეთს 39 ათასი თოფი, 327 ტყვიამფრქვევი, 147 ათასი ჭურვი და ორი დიდი სამხედრო გემი მიაწოდა. რუსეთი თურქეთს ფინასურადაც ეხმარებოდა. მან თურქეთის ხელმძღვანელობას 10 მილიონი ოქროს რუბლი გადასცა. საბჭოთა სპეციალისტები თურქებს, ასევე, სამხედრო წარმოების შექმნაში დაეხმარნენ. მათი ხელმძღვანელობით არაერთი ტყვია-წამლის მწარმოებელი ქარხანა აშენდა. თურქეთის პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალის, იგივე ათათურქის, პირადი ბრძანებით, 1928 წელს, სტამბოლის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე, ტაქსიმზე, გაიხსნა თურქეთის რესპუბლიკის შექმნის მემორიალი. ამ მემორიალის წინა მხარეს დგას ქემალ ათათურქი, ხოლო უკან, კლიმენტ ვოროშილოვი და სემიონ არალოვი. ამით, ათათურქმა საბჭოთა რუსეთის მიმართ მადლიერება გამოხატა. 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში, რუსეთსა და თურქეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება დაიდო, რაც ისტორიაში დარჩა, როგორც თურქეთის დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის პირველი ოფიციალური აღიარება.

ხელშეკრულებით დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც დღემდე არსებობს. ყარსის ცნობილი ხელშეკრულება მოსკოვის ხელშეკრულების გაგრძელებას წარმოადგენს, ოღონდ, ამ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკვე რუსეთი კი არა, სამი საბჭოთა რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი წარმოადგენდა. რუსეთის დახმარებით, ათათურქმა საბერძნეთთან ომი მოიგო და ინგლისი და საფრანგეთი გაანეიტრალა, რითაც თურქეთმა კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. კრემლი, ცხადია, იმედოვნებდა, რომ ათათურქი პირობას შეასრულებდა, მაგრამ ქემალი, თურმე, არც არასდროს აპირებდა საბჭოთა რუსეთის მიმართ დანაპირების აღსრულებას.

**ის ეშმაკურად თამაშობდა რუსეთთან. ათათურქი რევოლუციონერი კი იყო, მაგრამ სულ სხვა გაგების რევოლუციონერი, ვიდრე, რუსი ბოლშევიკები. მისი მსოფლმხედველობა არ იზიარებდა კომუნისტურ იდეოლოგიას. მას სურდა დამოუკიდებელი თურქეთის შექმნა ევროპულ და არა ბოლშევიკურ ყაიდაზე. თავიდან, ათათურქი ცდილობდა რუსეთისთვის ეჩვენებინა, რომ ის თავის დანაპირებს შეასრულებს. მისი დავალებით, შეიქმნა თურქეთის კომუნისტური პარტია. თურქ კომუნისტებს მიეცათ თავისი იდეოლოგიის პროპაგანდის უფლება. პირველი უთანხმოება ორ ქვეყანას შორის მოსკოვის ხელშეკრულების დადებიდან მალევე მოხდა. ხელშეკრულების თანახმად, თურქეთის სამხედრო ძალებს სომხეთის ქალაქი გიუმრი უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ თურქები არ აპირებდნენ აქედან წასვლას. უფრო მეტიც, საბჭოთა დაზვერვამ შეიტყო, რომ თურქები კულისებში ინგლისელებთან აწარმოებდნენ საიდუმლო მოლაპარაკებას. მათ სურდათ, ქართველ ემიგრანტებთან ერთად, არმია შეექმნათ, რომელიც საქართველოს ბოლშევიკებისგან გაათავისუფლებდა. საბჭოთა ხელმძღვანელობას, რა თქმა უნდა, მწვავე რეაქცია ჰქონდა ამაზე. კრემლი სერიოზულად დაემუქრა ათათურქს. თურქეთი ჯერ არ იყო ისეთი ძლიერი, რომ საბჭოთა კავშირთან კონფრონტაციაზე წასულიყო. ამიტომ, გადაწყდა უკან დახევა და ამ გეგმებზე უარის თქმა.**

რაც შეეხება თურქეთის კომუნისტურ პარტიას, მას ცუდი ბედი ეწია. 1921 წელს, თურქეთის კომუნისტთა ლიდერები,15 კაცი მთლიანად, ზღვაში დამხრჩვალი იპოვეს. 1923 წელს კი, ათათურქმა სრულად აკრძალა კომუნისტური პარტია. ამით კრემლი მიხვდა, რომ ათათურქი თავის ძველ დანაპირებს აღარ შეასრულებდა. 1923 წელს, ომმოგებულმა და გაძლიერებულმა თურქეთმა, ევროპის ქვეყნებთან ხელი მოაწერა ლოზანის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, თურქეთის დღევანდელი საზღვრები დადგინდა. ევროპის ქვეყნებმა თურქეთის სახელმწიფო ფაქტობრივად აღიარეს.



**1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთის პარლამენტმა ოფიციალურად გამოაცხადა თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბება. მუსტაფა ქემალ ათათურქი კი ამ სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი გახდა.**

**ნუგზარ ბ. რუხაძე.**

პოსTV

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაია ესიტაშვილი (პ/ნ 20001061359), ლაგოდეხი, რუსთაველის 125

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ლაგოდეხი, რუსთაველის 125 (საკადასტრო კოდი: 54.01.58.076).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 212862.33 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 30 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP79713522;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 797135

6. **მოვალე:** შპს „უნივერსალი“ (ს/ნ 433101225), ლაგოდეხი, 300 არაგველის ქ. №15;
კობა გელაშვილი (პ/ნ 25001002568), ლაგოდეხი, 300 არაგველის ქ. №15;
ნინო გელაშვილი (პ/ნ 25001002865), ლაგოდეხი, რუსთაველის შეს. №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP79713522; ლოტის ნომერი: 797135).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 30 ივნისის 10:00 საათამდე.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს აგილ ახმედოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** აგილ ახმედოვი (პ/ნ 12004000061), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი, მე-10 ქ. №27

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბანი, ს. ყარაჯალარი (საკადასტრო კოდი: 81.06.11.489).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 56499.36 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 17 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 30 ივნისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP79704322;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 797043

6. **მოვალე:** აგილ ახმედოვი (პ/ნ 12004000061), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი, მე-10 ქ. №27;
არაზ ბაირამოვი (პ/ნ 12004000303), გარდაბანი, ს. ყარაჯალარი, მე-8 ქ. №5.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP79704322; ლოტის ნომერი: 797043).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 30 ივნისის 10:00 საათამდე.

---

# საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი
# დადგენილება
## არბიტრაჟის სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ

**საქმე №01-316/2021**

**ქ. თბილისი** **15 ივნისი, 2022 წელი**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

**გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:**

საქართველოს საარბიტრაჟო პალატას საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ გიორგი ჩენდლერის მიმართ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2022 წლის 10 მაისის დადგენილებით მოპასუხე გიორგი ჩენდლერის მიმართ 2021 წლის 31 აგვისტოს №67005.2155224.001-001 საკრედიტო ხელშეკრულების და მის უზრუნველსაყოფად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მოთხოვნის ნაწილში ს/ს „ბაზისბანკი“ ცნობილ იქნა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლედ.

სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაეგზავნა მოპასუხეს, მაგრამ ჩაბარების არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ ჩაბარდა მისამართზე არყოფნის გამო.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიიჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეს სარჩელში მითითებულ და არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნილი უწყება ვერ ბარდება და ამასთან მისი სხვა ადგილსამყოფელის შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, საქმის განხილვის თარიღის და სარჩელის თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

**ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:**

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

**დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:**

1. მოპასუხე გიორგი ჩენდლერს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმოებაშია ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლის ს/ს „ბაზისბანკის“ საარბიტრაჟო სარჩელი გიორგი ჩენდლერის მიმართ, 182488.66 აშშ დოლარის და საქმეზე გაწეული ხარჯების დაკისრების, ასევე იპოთეკით დატვირთული ნივთების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

2. მოპასუხეს ეცნობოს, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2022 წლის 4 ივლისს, 16:30 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 30, სართული 2, ბინა 5.

3. მოპასუხეს განემარტოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

4. მოპასუხეს ეცნობოს, რომ საქმეს განიხილავს არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი, ქეთევან დუმბაძის მდივნობით. მასვე განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვს გზავნილის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართოს არბიტრაჟს საქმის განმხილველი არბიტრის ან მდივნის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.

5. მოპასუხეს განემარტოს, რომ უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

6. მოპასუხეს განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/document/view/1179539?publication=0 და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე: http://acg.org.ge/

7. დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.

8. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.

ხალიჩაზე

# სამი წლით უფროსებთან!

**ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო რუმინეთიდან! ბუქარესტში მიმდინარე 17 წლამდელ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს ანრი ხოზრევანიძე ოქროს მედლის მფლობელი გახდა. მან ფინალურ შეხვედრაში აზერბაიჯანელი ვადათ გასიმლი 4:1 დაამარცხა (55 კგ).**



ქართველი მოჭიდავე ასპარეზობაში მეოთხედფინალიდან ჩაერთო და ჯერ მოლდოველი მაქსიმ სარმანოვი 9:0, ხოლო შემდეგ უნგრელი პეტერ ტოტოკი 7:1 დაამარცხა.

ფინალში იჭიდავა **ავთანდილ მამალაძემაც** (60 კგ) და აზერბაიჯანელ მუჰამედ გასამზადესთან 1:9 დამარცხდა.

გუშინ ევროპის ჩემპიონის ტიტულს 14 წლის **ვახტანგ ლოლუა** (ბულგარელ და აზერბაიჯანელ მეტოქეებს სძლია) დაეუფლა, **საბა სურმანიძემ** კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ოვალური ბურთი

# დიდი პატივი

**სარაგბო სამყაროში მეტისმეტად პრესტიჟულ ინგლისის ნაკრებისა და „ბარბაროსების“ მე-19 ჯახს, რომელშიც მცირე უპირატესობას ბრიტანელები ფლობენ — 10:8, 19 ივნისს თვიქნემი უმასპინძლებს.**

საამაყოა, რომ ფაბიენ გალტიეს გაწვრთნილ სტუმართა გუნდში (კაპიტანი — ფრანგი შარლ ოლივონი) ერთბაშად 2 ქართველია მიწვეული — „ლიონის“ ფულბეკი **დავით ნინიაშვილი** და „ტულონის“ ბურჯი **ბექა გიგაშვილი,** რომლებიც ამასწინათ ჩელენჯ კაპის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ასე რომ, რამდენიმე დღეში იმ „ბორჯღალოსანთა“ რიცხვი, ვისაც „ბარბაროსთა“ კვართი მოურგია, 11-მდე გაიზრდება: **დავით ქუბრიაშვილი, გოდერძი შველიძე, დავით კაჭარავა, მამუკა გორგოძე, კონსტანტინე მიქაუტაძე, გიორგი ხარაიშვილი, დავით ზირაქაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი** და **ანტონ ფეიქრიშვილი.**





ტატამს მიღმა

# ომი ხომ გრძელდება?!

**ტატამის ოსტატთა უახლოეს გრანდ სლემს 24-26 ივნისს ულან ბატორმა უნდა უმასპინძლოს, მაგრამ საკითხავია, გაიმართება კი ეს პრესტიჟული ტურნირი მონღოლეთის დედაქალაქში?**

მონასტერი მას შემდეგ აირია, რაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ სკანდალური გადაწყვეტილება მიიღო და ნეიტრალური სტატუსით სპორტულ ცხოვრებაში დაბრუნების უფლება მოულოდნელად რუსეთისა და ბელარუსის ნაკრებებს მისცა. თითქოს ამ მომენტს უცდიდაო, დამდეგ ასპარეზობაზე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ერთბაშად 28 წარმომადგენელი დარეგისტრირდა, მათ შორის — **იაგო აბულაძე** და **დალი ლილუაშვილი,** მაგრამ ბუნებრივია, უმალ გაისმა უკრაინელთა პროტესტი, რომელსაც, ბოიკოტის შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გუნდებიც შეუერთდნენ (ჯერჯერობით „ჯვაროსანთაგან“ განაცხადი მხოლოდ სოფიო სომხიშვილმა(+78 კგ) შეიტანა.



ვითარებაში უკეთ გასარკვევად, დაგვეთანხმებით, უმჯობესია ორივე მხარის პოზიციას გავეცნოთ: „მსოფლიო დიდი პრობლემის წინაშე დგას კონფლიქტის გამო, რომელშიც ჩვენი წევრი 2 ქვეყანაა ჩართული, თუმცა არაკონტროლირებადი პრობლემების გათვალისწინებით, სპორტსმენთა დასჯა არასწორად მიგვაჩნია. როგორც ამასწინათ სოკ-ის პრეზიდენტმა **თომას ბახმა** განაცხადა, ვერ იქნება სანქცია იმის გამო, რომ შენ ესა თუ ის პასპორტი გაქვს. ამიტომაც მხარს ვუჭერთ გადაწყვეტილებას, რომ რუსმა და ბელარუსმა ძიუდოისტებმა ჩვენი დროშისა და ჰიმნის თანხლებით იასპარეზონ“ **(ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო განცხადებიდან).**

„ამ ნაბიჯით შოკირებული ვარ. რუსეთის აგრესია არსად წასულა. უკვე ომის 112-ე დღე მიილია, ადამიანები იხოცებიან და მთელი ქალაქები ნადგურდება რუსული რაკეტებისგან. ეს საერთოდ როგორ მოუვიდათ თავში? თუკი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ტერორისტი სახელმწიფოების — რუსეთისა და ბელარუსის ქვეშევრდომებს ღონისძიებებზე მართლაც დაუშვებს, უკრაინის ძიუდოისტთა ნაკრები მისი ეგიდით გასამართავ ტურნირებზე გამოსვლაზე უარს იტყვის“ — **მიხაილო კოშლიაკი (უკრაინის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი).**

„თუკი მომავალ გრანდ სლემზე რუსი ძიუდოისტები მართლაც გამოჩნდებიან, ოფიციალურად ვიტყვი უარს ჩემს ყველა ტიტულზე, მათ შორის — მსოფლიოს ჩემპიონობაზე. მინდა ყველას გითხრათ, რომ სანამ თქვენ ტურნირზე რეგისტრაციას გადიხართ, უკრაინაში ასობით ადამიანი იღუპება, ათასობით კი მუდმივი დაბომბვების რეჟიმში ცხოვრობს. საწყენია, რომ ჩემთვის საყვარელი სპორტის სახეობის საერთაშორისო ფედერაცია პასიურად უკრაინაში მიმდინარე ომის მხარდამჭერი გამოდის — **გიორგი ზანთარაია (უკრაინის ნაკრების ლიდერი).**

ფარქვეშ

# რაჭის გავლით

FIBA U20 EUROPEAN CHAMPIONSHIP

**მართალია, ევრობასკეტამდე უკვე დღეებს ვითვლით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე ფრიად პრესტიჟული 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონი, რომელსაც 20 გუნდის მონაწილეობით ახალაშენებულ მულტიფუნქციურ და ოლიმპიურ სასახლეებში 15-24 ივლისს ვუმასპინძლებთ, ჩვენი ნაკრების მეტოქეები კი ჯგუფში შვედეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, კოსოვო და ავსტრია იქნებიან.**

მომავალი ფორუმისთვის უკეთ მომზადების მიზნით ახალგაზრდა „ჯვაროსნები“ უფროსთა მთავარ მწვრთნელ ილიას ზუროსის სერბი ასისტენტის — **მილოშ გლიგორიევიჩის** თავკაცობით შეკრებას ამბროლაურში გადიან, ხოლო შემდეგ 16-დან 14 რჩეული 8 ამხანაგური შეხვედრის გასამართავად ბერძნულ, ბულგარულ და თურქულ ტურნეზე გაემგზავრება. სხვათა შორის, ბოლო სპარინგი თბილისშია ნავარაუდევი.

რინგზე

# მართლაც დიდებული



კრივის დიდების დარბაზის ახალი წევრია ტყავის ხელთათმნის უკრაინელი ლეგენდა **ვლადიმირ კლიჩკო.** სახელოვანი დინასტიის უმცროსი წევრი აღიარებს, რომ ვერცკი იოცნებებდა, რომ ოდესმე ასე დააფასებდნენ:

**„მადლობა ორგანიზატორებსა და ფანებს ამ აღიარებისთვის. როცა 14 წლისამ კარიერა დავიწყე, რინგს სამოგზაურო ინსტრუმენტად ვიყენებდი და არასოდეს მინატრია, ვყოფილიყავი კრივის დიდების დარბაზის ჩემპიონთა შორის. ეს დაუჯერებლად დიდი პატივია. სამწუხაროდ, ჩემს სამშობლოში რუსული აგრესიის გამო არ შემიძლია ეს მომენტი თქვენთან ერთად გავიზიარო. ამ ომმა შემცვალა არამარტო მე, არამედ მთელი სამყარო. ასევე მახსოვს, როგორ შეცვალა კრივმა ჩემი ცხოვრება. მან უკეთეს ადამიანად მაქცია“.**

კორტზე

# 24-ეს შეუტევს

**სერენა უილიამსი დიდი სლემის 24-ე ტიტულის მოპოვებას უიმბლდონზე ეცდება. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ის სწორედ ლონდონში ითამაშებს. ტურნირის ორგანიზატორებმა, ამერიკელ ჩოგბურთელს უაილდქარდი მიანიჭეს, რაც მას სარეიტინგო პოზიციის მიუხედავად, უიმბლდონზე თამაშის უფლებას აძლევს.**



სერენამ ტურზე ბოლოს სწორედ უიმბლდონზე ითამაშა. ეს შარშან მოხდა და ის ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა. ამის მიზეზი ფეხის ტრავმა გახდა. სერენას მიერ, დიდი სლემის ტურნირებზე მოპოვებული 23 ტიტულიდან, 7 უიმბლდონზე მოდის.

მთელი წლის გაცდენის გამო, 40 წლის სერენა რეიტინგში 1208-ე ადგილამდე დაქვეითდა. ბუნებრივია, უაილდქარდის გარეშე, ის დიდი სლემის საბალახო ტურნირზე გამოსვლას ვერ შეძლებს. უიმბლდონისთვის მზადების ფარგლებში, სერენა ტუნისელ ონს ჟაბურთან ერთად, ისტბორნის ტურნირზე, წყვილთა ბადეში ითამაშებს. ცნობისათვის, მას დიდი სლემის ტურნირებზე, წყვილებში 14 ტიტული აქვს მოპოვებული.

უილიამსმა თავისი ბოლო დიდი გამარჯვება 2017 წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე მოიპოვა. მას შემდეგ, დიდი სლემის 24-ე ტიტულის მოპოვებას ცდილობს. თუ ამას შეძლებს, მაშინ ლეგენდარული ავსტრალიელის მარგარეტ კორტის მიღწევას გაიმეორებს.

სერენას 2017 წელს გოგონა, ოლიმპია შეეძინა და მას შემდეგ, დიდი სლემის ტურნირებზე ფინალს ოთხჯერ მიაღწია, მაგრამ ოთხივეში ისე დამარცხდა, ერთი სეტის მოგებაც ვერ მოახერხა.

ნახვამდის!

# ალვეშიც წავიდა




39 წლის ბრაზილიელმა მცველმა **დანი ალვეშმა,** „ბარსელონადან“ წასვლის შესახებ განაცხადა და სოციალურ ქსელში გამოსამშვიდობებელი გზავნილი გამოაქვეყნა, რიმელსაც შემოკლებით გთავაზობთ.

**„ძვირფასო გულშემატკივრებო, აი, დადგა განშორების დრო. ჩემი ცხოვრების რვა წელიწადზე მეტი მივუძღვენი ამ კლუბს, მის ფერებს, ამ სახლს, მაგრამ წლები გადის, გზები იყოფა და ისტორიები სხვადასხვა ადგილებში იწერება.**

**გაგდება დამიპირეს, მაგრამ ვერ შეძლეს (იცინის), ამიტომ ვერც წარმოიდგენთ, როგორი გამძლე ვარ. ვიმედოვნებ, ვინც აქ დარჩება, ამ შესანიშნავი კლუბის ახალ ისტორიას დაწერს. ამას წრფელი გულით გისურვებთ. „ბარსელონაში“ დიდი ოქროს წიგნი დავწერე — 23 ტიტული მოვიგე. ყოველივე ეს ერთ დიდ ციკლს ხურავს. იხსნება ახალი, უფრო რთული.**

**დაე, მსოფლიომ იცოდეს, რომ ლომი 39 წლისაც კარგ და გადარეულ ლომად რჩება. წინ „ბარსა!“** — წერს ალვეში.



# რაიმე ტიპის პროდუქტის დეფიციტის შიში არ უნდა გვქონდეს, გამორიცხულია!!!

**საქართველოში მოქალაქეებს რამე ტიპის პროდუქტის დეფიციტის შიში არ უნდა ჰქონდეთ, ეს გამორიცხულია. ერთადერთი ჩვენ გვჭირდება მშვიდობა და საქართველოში მშვიდობის შენარჩუნების პირობებში არაფრის დეფიციტი არ იქნება,** — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გადაცემაში „იმედი LIVE" განაცხადა.

მისი თქმით, ამის შესახებ პირადად მას და მთავრობის სხვა წევრებს არაერთი განცხადება აქვთ გაკეთებული.

**„ზარალდებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც არ იჯერებდნენ, პანიკაში ვარდებოდნენ და ასეთი ტიპის მარაგებს იქმნიდნენ. ასეთი პრეცედენტები ვნახეთ პანდემიის პერიოდშიც, როდესაც პანიკის გამო გარკვეულ პროდუქტებზე მცირე ხნით მოხდა შეფერხება, მაგრამ ამას არანაირი საფუძველი რომ არ ჰქონდა ეს მკაფიოდ გამოჩნდა მოკლე ხანში. საქართველოში მომარაგების პრობლემა არ არის და მთავრობის მხრიდან განცხადებები იყო პასუხისმგებლიანი და რეალობასთან პირდაპირ კავშირში. იგივე იყო ომის დაწყების დროს შაქარზე, დარწმუნებული ვარ, ეს იყო ორგანიზებული ინფორმაცია. ეს ყველაფერი ემთხვევა ხოლმე ზამთრის პერიოდს, როდესაც საგზაო გადაზიდვები ისედაც შეფერხებულია და ზუსტად ამის გამო ვერ მოხდა რამდენიმე დღის განმავლობაში შევსება",** — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.



ლუიზა და როინ მეტრეველები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი

## გოჩა ჩოგოვაძე

და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# კახეთში სტიქიის შედეგებს ითვლიან



**კახეთში სეტყვამ განსაკუთრებით გურჯაანის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი დააზიანა, მათ შორისაა სოფელ ჩუმლაყიც, სადაც, ადგილობრივების თქმით, მოსავლის 90% თითქმის განადგურებულია.**

სეტყვა, რომელიც 20-25 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, ატმის და გარგარის ბაღების ძირითადი ნაწილი დააზიანა. დაზიანებულია ვენახების დაახლოებით 50-70%.

ფერმერების და მევენახეების ნაწილს ვენახები დაზღვეული არ აქვს, ამიტომ ადგილობრივ ხელისუფლებაში განმარტავენ, რომ სადაზღვევო სისტემას ალტერნატივა არ აქვს და ამ პროგრამაში ჩართვა მათი დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

დაზარალებულების თქმით, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ იმუშავა, თუმცა, მასიური ღრუბლების წარმოქმნის გამო, ზარალის თავიდან აცილება მაინც ვერ მოხერხდა. გურჯაანის გარდა, სტიქიამ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოდბეში ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები დააზიანა.

გურჯაანის და სიღნაღის მერიაში შექმნილი ზარალის დამთვლელი კომისია სტიქიის ზონაში დილიდან მუშაობს. ზარალის ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ცნობილი სავარაუდოდ ხვალ გახდება.

# უცხოური გემები შავი ზღვის დაბინძურებას განაგრძობენ

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, შავი ზღვის დაბინძურების 3 ფაქტი გამოავლინეს.**




პანამის, ლიბერიისა და ტანზანიის დროშების ქვეშ მცურავმა გემებმა შავი ზღვა სამეურნეო წყლებით დააბინძურეს.

ფოთისა და ბათუმის სასამართლოებმა სამივე გემი სამართალდამრღვევად სცნო და თითოეულს 65-ათასლარიანი ჯარიმა დააკისრა.

პანამის, ლიბერიისა და ტანზანიის დროშების ქვეშ მცურავ გემებს საქართველოს ტერიტორიული წყლების დატოვებისა და თავისუფალი ნაოსნობის უფლება დაკისრებული საჯარიმო სანქციისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხის გადახდის შემდეგ მიეცა.

# შვილი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, ძალად გაათხოვა...

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ა.გ. არასრულწლოვანი შვილის ქორწინების იძულების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული 2004 წელს დაბადებულ არასრულწლოვან შვილს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით, ქორწინებას აიძულებდა. გოგონამ ამის შესახებ პოლიციას აცნობა. სამართალდამცველებმა მიღებული შეტყობინებისთანავე შესაბამისი საგამოძიებო, ასევე საპროცესო მოქმედებები ჩაატარეს და ა.გ. იმავე დღეს, ბრალდებულის სახით დააკავეს. გოგონა ამჟამად გადაყვანილია თავშესაფარში, მისი ოჯახის სხვა წევრების მიმართ კი, გამოცემულია შემაკავებელი ორდერები.




## სანთელი

# ანზორ გულდამაშვილი



**გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ანზორ გულდამაშვილს მიმდინარე წლის 16 ივნისს შეუსრულდებოდა დაბადებიდან 90 წელი.**

**ანზორ გულდამაშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტთან. მისი ხელმძღვანელობით სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, პირველი იონური იმპლანტაციის ლაბორატორია, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ მიმართულებას — იონურ ლეგირებას. აღნიშნული სამუშაოების დაწყება განპირობებული იყო ინსტიტუტში თერმოელექტრული და თერმოემისიური ხელსაწყოთმშენებლობის საკითხების ფართო გაშლით, რომელიც მოითხოვდა განსაზღვრული თვისებების მაღალეფექტურ მასალებს, რომელთა მიღება სხვა ტექნოლოგიებით შეუძლებელი იყო.**

**ფართო კვლევები მიმდინარეობდა ძირითადად იონებით იმპლანტირებული მასალების ელექტროფიზიკური, ფიზიკურ-მექანიკური და სხვა თვისებების შესასწავლად, ტექნოლოგიის ოპტიმიზაციის მიზნით და მასალების შერჩევისათვის ნახევარგამტარული მიკროელექტრონიკისა და ნახევარგამტარული ხელსაწყოთმშენებლობისათვის, სითბური და ბირთვული გამოსხივების ელექტრულ ენერგიად გარდამქმნელებისათვის, ატომური მეცნიერებისა და ტექნიკისათვის. პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში შესწავლილი იქნა ბორის იონების კანალირების მოვლენა და მაღალენერგეტიკული იონების კრისტალებთან ურთიერთქმედების ორიენტაციული ეფექტების თავისებურებანი.**

**იონური იმპლანტაციის პროცესში მყარი სხეულების სტრუქტურის ცვლილებების დადგენილმა კანონზომიერებებმა გამოავლინეს — გარდამავალი მეცნიერების მოლიბდენის, ნიობიუმის და ვოლფრამის ემისიურ-ადსორბციული და მექანიკური თვისებების მართვის შესაძლებლობები.**

**ანზორ გულდამაშვილის უშუალო მონაწილეობით ინსტიტუტში სილიციუმის ფუძეზე შეიქმნა p-n გადასასვლელიანი დიოდი, განხორციელდა ოქსიდების და სილიციუმის ნიტრიდების სინთეზი მაღალი გამრღვევი ძაბვებით და მაღალი დიელექტრიკული შეღწევადობით.**

**1981-2006 წლებში ის ნაყოფიერად მოღვაწეობდა თბილისის სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტში. 2006 წლიდან ის აქტიურად მონაწილეობდა სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის სსიპ-ად ჩამოყალიბებას, თემატიკის ფორმირებასა და სამეცნიერო სამუშაოთა აღორძინებაში.**

**მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შესრულებულია 18 სამუშაო სახელმწიფოს დაკვეთით, 5 საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 3 პროექტი.**

**სსიპ. სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის პროცესში შესრულებული 162 სამეცნიერო ნაშრომი ნათლად ასახავს ბატონ ანზორ გულდამაშვილის მნიშვნელოვან წვლილს საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი მეცნიერული შედეგების მიღწევაში.**

**ბატონი ანზორ გულდამაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგებისა და მოსწავლეების მეხსიერებაში.**

**სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექცია, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო**



# გილოცავთ!

მე-XX საუკუნის დაშნით სპორტულ ფარიკაობაში მსოფლიოში უძლიერეს მუშკეტერს

## გურამ კოსტავას

18 ივნისს 85 წელი უსრულდება.

ორი ოლიმპიური და შვიდი მსოფლიო პირველობის პრიზიორი გურამ კოსტავა არის ერთადერთი ქართველი მოფარიკავე, ვისაც ოლიმპიადაზე და მსოფლიო პირველობებზე აქვს მოპოვებული საპრიზო ადგილები პირად ჩათვლაში (1964 — ოლიმპიადა; 1963 და 1965 წ.წ. — მსოფლიო პირველობა).

ამის გარდა, არის 2-გზის მსოფლიო ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

გურამ! გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, შენი მიღწევები არის სტიმული ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის.

ვეტერანი მოფარიკავეები და შენი მეგობრები: **ი. ოსიპოვი, გ. ცაგარელი, ზ. ცქიტიშვილი, ა. გოგელია, ზ. მჭედლიძე, დ. სახვაძე, ბ. შარაშენიძე, ზ. ბოკუჩავა, გ. ანდრიაძე, ლ. დადანიძე, რ. კეკელია, ს. სვანიძე, ზ. კუპრაშვილი, ზ. ჩაჩხიანი, შ. ვარდიაშვილი.**

# ყველას გავუწევ რეკომენდაციას, ამოვიდნენ ამ უნიკალურ ქვეყანაში

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია National Gheocraphic magazine-ის ჟურნალისტს ჯოზეფ რიჩარდ იოგერტს მასპინძლობს.**

გავლენიანი საერთაშორისო გამოცემა მსოფლიოს 100 საუკეთესო ქალაქის შესახებ სპეციალურ გზამკვლევს ამზადებს, სადაც თბილისისა და საქართველოს ტურისტული ადგილები იქნება შეყვანილი. ამ მიზნით გამოცემის ჟურნალისტმა საქართველოს დედაქალაქი დაათვალიერა, გადაიღო თბილისის ტურისტული ადგილები. შემდეგ ჯოზეფ რიჩარდ იოგერტი უფლისციხეში გაემგზავრა, სადაც კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება, კლდეში ნაკვეთი ქალაქი დაათვალიერა.

**„თბილისი არის ევროპული ქალაქი, სხვადასხვა პერიოდის ძალიან ლამაზი არქიტექტურით, მათ შორის თანამედროვე სტილის. ძალიან მომეწონა ქართული კერძები, განსაკუთრებით ხინკალი. თბილისის შემდეგ პირველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომელიც დავათვალიერე უფლისციხეა. ეს ადგილი უფრო პატარა მეგონა, თუმცა აღმოვაჩინე, რომ ესაა გამოქვაბულების ქალაქი, სადაც როგორც საცხოვრებელი, ასევე სალოცავები იყო მოწყობილი. ყველას გავუწევ რეკომენდაციას, ჩამოვიდნენ საქართველოში და ეწვიონ ამ ადგილებს“,** — აცხადებს National Geographic-ის ჟურნალისტი ჯოზეფ რიჩარდ იოგერტი.



# პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში — სამების ტაძრის გუნდი სიქსტის კაპელაში, რომის პაპის საზეიმო მესა ჩვენი პატრიარქის „ავე მარიას“ გალობით

**26 ივნისს, სიქსტის კაპელაში, სადაც უცხოელებს ძალიან იშვიათად უმღერიათ ან კონცერტი გაუმართავთ, სვიმონ ჯანგულაშვილისა და გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით 40 მომღერალი-მგალობელი სამების საკათედრო ტაძრის გუნდიდან, მთელი შემადგენლობით, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, გამართავს კონცერტს,** — ამის შესახებ თეა წულუკიანმა „იმედის“ ეთერში განაცხადა. წულუკიანის თქმით, ეს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის არაერთი წლის სურვილი და გეგმა იყო.



**„ეს ხდება პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როდესაც ქართველი იმღერებს სიქსტის კაპელაში. მეტიც, 29 ივნისს, როდესაც თავად პაპი აღავლენს საზეიმო მესას წმინდა პეტრესა და პავლეს დღესასწაულზე, წმინდა პეტრეს ტაძარში, სადაც უამრავი მომლოცველი იქნება, საერთაშორისო დელეგაციები, პატრიარქის დაფუძნებული სამების გუნდი მესის დასრულების შემდეგ (მესაში, ჩვენი რწმენიდან გამომდინარე, რასაკვირველია არ ვმონაწილეობთ), რომელსაც თვით პაპი აღავლენს, შეასრულებენ ილია მეორეს „ავე მარიას“ და სავარაუდოდ, როგორც ბატონი სვიმონ ჯანგულაშვილისგან ვიცით, „შენ ხარ ვენახსაც“. როგორც სიქსტის კაპელაში გამართული კონცერტი, ასევე საზეიმო მესა გადაიცემა კათოლიკურ სამყაროში პირდაპირი ეთერით. ეს არის ისტორიული მოვლენა და, ვფიქრობ, არავინ გვიწყენს, თუ ვიტყვი, რომ ყველა ის თემა, რასაც შეიძლება განვიხილავდეთ, არის უფრო პატარა, ვიდრე ის, რასაც ახლა ველოდებით დიდი სიხარულით“,** — განაცხადა წულუკიანმა.





# ცხენები მოძრავი ტრაილერიდან გაიქცნენ

**აშშ-ში, ნიუ-იორკში, ორმა ცხენმა მოძრავი ტრაილერიდან თავის დაღწევა შეძლო და ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე აღმოჩნდა,** — ფაქტის ამსახველ ვიდეო და ფოტომასალას ადგილობრივი პოლიცია ავრცელებს. სამართალდამცველებმა ცხენები მეპატრონეს დაუბრუნეს. მათ სერიოზული დაზიანებები არ აქვთ.

# მავნებელი თახვი



**კანადაში, ბრიტანულ კოლუმბიაში თახვი 15 ქალაქში ელექტროენერგიის, ინტერნეტისა და სატელეფონო კავშირის გამორთვის მიზეზი გახდა. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თახვმა დაღრღნა ხე, რომელიც წაიქცა და სადენებს დაეცა. შედეგად, ხანძარი გაჩნდა, რომლის ჩაქრობასაც დიდი ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ, რადგან სადენები ჭაობთან იყო გაყვანილი და მათთან მისვლა მეხანძრეებისთვის რთული აღმოჩნდა.**

ელექტროენერგია და ინტერნეტი ქალაქებში მხოლოდ 8 საათის შემდეგ აღდგა.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 20 ივნისს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9436; ევრო - 3.0855
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5609;
100 რუბლი - 5.2302; თურქული ლირა - 0.1703;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7361;
1000 სომხური დრამი - 6.8515.

**ამინდი 17 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +29 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +29 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე | +18, | დღე +29 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge